პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

მეოთხე წელიწადი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა,
გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო.

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 საათ.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76
(მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი,
ტელეფონი 10—49

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთ —65 კ. დანარჩ. ქალაქში—85 კ. ქალაქს გარეთ 95 კ. განცხადებები: ნომპარელის სტრიქონით—20 კ. აწყობა ციფრებით—25 კ. ა. | კავკ. გარეშე—40 კ. აწყობა ციფრებით—60 კ., შუა გვ. ო. დებში—ორჯერ მეტი. სამგლოვიარო განცხადება — 5 მან. განმეორებითი განცხადება 15 პროცენტ. შეღავათით. განცხადება მიიღება ნაშუადღ. 3 საათამდე.

კვირა 5 ოქტომბერი 1924 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კ. № 228 (1083)

დეპეშები

— მთავრობის ჯარების დამარცხების შემდეგ ჩან-ზო-ლინის არმია მიადგა პეკინს.

— საფრანგეთი დასთანხმდა, რომ გერმანია მიიღებულ იქმნას ერთა ლიგის წევრად.

— გერმანიის მთავრობის თავმჯდომარე [illegible] აწარმოებს მოლაპარაკებას სოციალ-დემოკრატებთან მთავრობაში შესვლის შესახებ.

— ბულგარეთის ფაშისტურმა მთავრობამ [illegible] მოჰკლა რამოდენიმე კომუნისტი.

— საბჭოთა კავშირის მუშები განაგრძობენ დახმარების გაწევას ლენინგრადის პროლეტარიატისათვის.

ამხ. სერგო ორჯონიკიძის მოხსენება

მენშევიკური ავანტიურის შესახებ*)

რას სწერენ უცხოელ გაზეთებში

ამხანაგებო! აი ამ უცხოელ გაზეთებიდან უნდა გაგაგებინოთ თქვენ თუ რა ხდება საქართველოში, რანაირი და რა ამბებია ჩვენში.

ეს პირველი გაზეთი არის რუსული შავრაზმელი მილიუკოვის გაზეთი, რომელიც პარიზში გამოდის, სადაც ბრძანდება ნოე ჟორდანია, საქართველოს „გამანთავისუფლებელი“ კაცი.

აი რა სწერია აქ: „აჯანყება საქართველოში“ (კითხულობს. კრება იცინის).

⁂

აჯანყება საქართველოში.

აღებულია თბილისი და ქუთაისი.

შესდგა დროებითი მთავრობა.

როგორ მიმდინარეობს აჯანყება.

საქართველოს დელეგაციამ პარიზში მიიღო შემდეგი ცნობები:

I

„სტამბოლიდან იუწყებიან, რომ მეორე დივიზია, რომელიც გაგზავნილი იყო რუსეთიდან საქართველოში და ამიერ-კავკასიაში მომქმედ ჯარების დასახმარებლად, შეაჩერეს ჩრდილოეთ კავკასიაში აჯანყებულმა მთიელებმა, რომლებმაც დაანგრიეს რკინისგზის ხიდი გროზნოსა და ხასავიურტს შორის. ამ რაიონში სასტიკი ბრძოლა სწარმოებს. რკინისგზით მიმოსვლა რუსეთში შეწყვეტილია“.

II

თბილისი აჯანყებულების ხელში.

ლონდონი. 11 სექტ.

გაზეთ „დეილი ტელეგრაფ“-ის მიერ მიღებული ცნობებით, ქართველმა აჯანყებულებმა აიღეს თბილისი და ქუთაისი, და ემუქრებიან ბათომს.

შესდგა დროებითი მთავრობა.

სტამბოლი. 11 სექტ.

(ჰავასის სააგენტოს ცნობა)

საქართველოდან უკანასკნელად მიღებული ცნობებით, აჯანყებამ კავკასიაში ფართე ხასიათი მიიღო. სისხლისმღვრელ შეტაკებების დროს წითელი ჯარები ძლიერ დაზარალდენ.

აჯანყებულებმა აიღეს თბილისი, ქუთაისი და აგრეთვე რკინისგზის ხაზი თბილის-ოზურგეთს შორის.

ბოლშევიკური ჯარები უწესრიგოთ იხევენ უკან, სტოვებენ იარაღს და სამხედრო მასალას. სამხედრო მასალის განსაკუთრებით დიდი საწყობები დასტოვეს წითელმა ჯარებმა თბილისში და ქუთაისში.

აჯანყებულებმა საყოველთაო მობილიზაცია გამოაცხადეს,

ქუთაისში შესდგა დროებითი მთავრობა.

ბოლშევიკები გაფაციცებით ამაგრებენ ბათომს, რომელსაც ემუქრებიან აჯანყებულები.

ტროცკი როსტოვში.

სტამბოლიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ აჯანყებულებმა თბილისი აიღეს ღამით 7 სექტემბერს

ტროცკი ჩავიდა როსტოვში და პირადათ უხელმძღვანელებს სამხედრო მოქმედებას ქართველ აჯანყებულების წინააღმდეგ.

აჯანყების მიმდინარეობა.

სტამბოლი, 11 სექტ.

ქ. ხასავ იურტში, დაღესტანის ოლქში, ოლქის მცხოვრებლებმა, რომლებიც ქალაქში შევიდენ ადგილობრივ აჯანყებულების საოლქო ორგანიზაციასთან ერთად, დაამხვეს საბჭოთა ხელისუფლება. კომუნისტები ცხენოსანი რაზმის თანხლებით მიიყვანეს რკინისგზის სადგურზე და წინადადება მისცეს თავისუფლად გაემგზავრონ ჩრდილოეთისაკენ.

გროზნოს ნავთის სამრეწველოებში გაიფიცენ მუშები. პეტროვსკში დააპატიმრეს მატროსების ჯგუფი, რომელსაც ბაქოში გადაჰქონდა იარაღი და კონტრ-რევოლიუციონური ლიტერატურა.

დაბა „ხაჩმასში“ ჩეკამ დააპატიმრა კონტრ-რევოლიუციონური ორგანიზაცია, რომელიც შესდგებოდა თათრებისა და რუსებისაგან. ორგანიზაცია აწყობდა აჯანყებულთა რაზმებს.

შუშის რაიონში დამშეულმა მუსლიმანმა გლეხებმა რაიკომებიდან და სოფლის საბჭოებიდან განდევნეს კომუნისტები.

ახალციხეში აჯანყებულთა კომიტეტმა გამოაცხადა საყოველთაო მობილიზაცია 18-დან 55 წლამდი. **აჯანყებულების მხარეზე გადავიდა სამთო არტილერიის დივიზიონი,** რომელმაც მოითხოვა მიეწვიათ კომიტეტში ერთი თავისი და ერთი რუს მოსახლეობის წარმომადგენელი.

⁂

ახლა წავიკითხოთ მეორე გაზეთი, რომელიც გამოდის ბერლინში და ასეთივე შავრაზმულია, როგორც პირველი (კითხულობს. კრება იცინის).

(საკუთარი კორესპონდენტისაგან).

ბუქარესტი, 13 სექტ.

ბუქარესტში მიღებულ ცნობების თანახმად, საქართველოში დაწყებული აჯანყება მოედო აზერბეიჯანსაც. მთელი საქართველო რევოლიუციონერების ხელშია. საბჭოთა მთავრობამ ჯარში გაიწვია ხუთი ჰასაკის ახალგაზრდები და კავკასიაში გაგზავნა ისინი. ფიქრობენ, რომ საბჭოთა ჯარების ოპერაციებს ხელმძღვანელობს ტროცკი.

(საკუთარი კორესპონდენტისაგან).

პარიზი, 15 სექტ.

პარიზში მყოფმა საქართველოს მთავრობამ ცნობები მიიღო იმის შესახებ, რომ რკინისგზის ყველა გვირაბები ბათომ-თბილისის ხაზზე აფეთქებულია. აჯანყება მოედო ჩრდილოეთ - კავკასიას; მეამბოხეთა მოძრაობამ საერთო ხასიათი მიიღო.

აჯანყება საქართველოში.

(საკუთარი კორესპონდენტისაგან).

ლონდონი, 15 სექტემბერი.

„დეილი მეილ“-ის სტამბოლელი კორესპონდენტის ცნობებით, აჯანყება მოედო საქართველოს ყველა ექვს პროვინციას, მეამბოხეებმა აიღეს ქუთაისი. მათ დაკეტეს აგრეთვე ბათომ-თბილისის რკინისგზის ხაზის გვირაბი. აჯანყებულებს განზრახვა აქვთ დაიპყრონ ბაქო.

აჯანყება საქართველოში.

(საკუთარი კორესპონდენტისაგან).

პარიზი, 13 სექტ.

პარიზში მყოფი საქართველოს მთავრობა შემდეგ ცნობებს აქვეყნებს; ეს ცნობები მიღებულია სტამბოლიდან.

სტამბოლიდან ბათომში მისულმა გემმა ვერ შესძლო ბათომის ნავთსადგურში შესვლა. ბათომი მოწყვეტილია. ქალაქის ახლო-მახლო რაიონებში გაცხარებული ბრძოლაა. დაწვრილებითი ცნობები არ არის მიღებული.

⁂

აი კიდევ მესამე გაზეთი. ის არის მენშევიკებისა და ესერების ორგანო. გამოდის ბერლინში. (კითხულობს. კრება იცინის).

როგორ დაიწყო აჯანყება.

ჩვენ გვატყობინებენ შემდეგ ცნობებს საქართველოში დაწყებულ აჯანყების პირველი დღეების შესახებ: აჯანყება დაიწყო 27 აგვისტოს. ამ დღეს აჯანყებულებმა დაიკავეს მანგლისი (60 ვერსის დაშორებით თბილისიდან) და პრიუტი (საათნახევარის მანძილია მანგლისიდან). **28 აგვისტოს დაიკავეს შიათურა და ქუთაისი, 29—სიღნაღი და თელავი.** ამრიგად, ამ დღისათვის აჯანყება მოედო საქართველოს სხვადასხვა კუთხეებს, რომლებიც ერთმანეთთან არაფრით არ არიან დაკავშირებული. **30 აგვისტოს დილის 4 საათზე გამოსვლები დაიწყო თბილისში. შუადღისას აჯანყებულებმა დაიკავეს თბილისის ყველა მუშათა ტუბნები** (წყნეთი, საბურთალო და სხვები). კომუნისტებს ეჭირათ ქალაქის ცენტრი. მთავრობის ყველა შენობებს იცავდენ წითელარმიელთა გაძლიერებული რაზმები. მთავრობამ მობილიზაცია უყო თბილისის კომუნისტურ ორგანიზაციას. **ქუჩებზე განუწყვეტელი სროლა იყო, ყოვლის მხრიდან მოყავდათ დაჭრილები. საღამოს სროლა გაძლიერდა.** მატარებლები დაგვიანებით მიდიოდნენ.

ალექსანდროპოლში ამიერ-კავკასიის რკინისგზის მოსამსახურეებმა გამოაცხადეს გაფიცვა, როგორც პროტესტი 9 კაცის დახვრეტის წინააღმდეგ; ეს 9 კაცი ადგილობრივი ჩეკას მიერ დახვრეტილი იქნა იმის გამო, რომ მათ კავშირი ჰქონდათ აჯანყებულებთან. ალექსანდროპოლის ოლქას სოფლის მოსახლეობა უარს ამბობს ხარკის გადახდაზე და სოფლებში აწყობს თავდაცვის რაზმებს იმ შემთხვევისათვის, თუ იქ გამოჩნდებიან დამსჯელი ჯარები.

საქართველოს მეამბოხეთა კომიტეტი ახალციხეში შეივსო ამიერ-კავკასიის სომეხ, რუს და მუსლიმან მოსახლეობის წარმომადგენლებით. მთელი ახალციხის ოლქი აჯანყებულთა ხელშია. მოსაზღვრე რაზმები ოსმალეთის საზღვარზე, აფხაზეთში და გურიაში აჯანყებულთა მხარეზე გადავიდენ.

აი კიდევ.

ნოე ჟორდანიას მოწოდება.

ნოე ჟორდანიამ შემდეგი მოწოდება გამოაქვეყნა:

„ჩემ მიერ საქართველოდან მიღებულ ცნობების თანახმათ, ამბების განვითარებამ შემდეგი ხასიათი მიიღო.

მოძრაობა დაიწყო გლეხებს შორის ივენისში და ივლისში; ეს მოძრაობა გამოწვეული იყო დიდი და აუტანელი გადასახადებით, სარწმუნოებრივი დევნით, ტაძრების აოხრებით და იმით, რომ სასაფლაოები გადაქცეული იყო სასპორტო ვარჯიშობის ადგილებათ და სხვა.

გლეხები მართავდენ მრავალრიცხოვან მიტინგებს, რომლებზედაც მოითხოვდენ დევნის შეწყვეტას. მიტინგებს შედეგათ მოჰყვა მასიური დაპატიმრება. მარტო ზუგდიდში ჩაიყვანეს 1500 გლეხი, კაცები და ქალები, რომლებიც დაპატიმრებული იყვენ ახლო-მახლო სოფლებში.

მღელვარება მოედო მთელს საქართველოს და აგვისტოს ბოლო რიცხვებში მან ზოგიერთ რაიონებში შეიარაღებული აჯანყების ხასიათი მიიღო. საბჭოთა ხელისუფლებამ აჯანყებას უპასუხა 43 პოლიტიკური პატიმარის დახვრეტით პირველ სექტემბერს. ამ არგაკონილ ბარბაროსულ აქტით აღშფოთებული მოსახლეობა აღსდგა. **მთელი ხალხი აჯანყდა. წითელი არმიის ქართული ნაწილები და მრავალი რუსული ნაწილები აჯანყებულთა მხარეზე გადავიდენ. მოძრაობა მოედო მთელს კავკასიას.**

მოსკოვი ამ ჟამათ საომრათ ემზადება, რომ ხელახლა დაიპყროს საქართველო. ორი ჩეკისტი—პანკრატოვი და ატარბეკოვი, რომლებიც კავკასიაში და სამხრეთ რუსეთში ცნობილი არიან თავისი სისასტიკით, საქართველოში და მთელს კავკასიაში დანიშნული არიან დიქტატორებათ განუსაზღვრელი უფლებებით. ქართველი ხალხის სახელით მე მივმართავ საფრანგეთის კეთილშობილ ერს და მის გულად პრესას, და ვსთხოვ მათ დაეხმარონ საქართველოს იმ ბრძოლაში, რომელსაც ის აწარმოებს თავისუფლებისათვის“.

კავკასიაში

ბრძოლა ბათომთან.

ბერლინში მყოფ ქართველების მიერ 14 სექტემბერს მიღებული ცნობების თანახმათ, ბათომთან გაცხარებული ბრძოლა სწარმოებს ბოლშევიკურ დესანტსა და აჯანყებულთა შორის. **მთელი რიგი სოფლები განადგურებულია. დახოცილები ყრიან რკინისგზის ხაზზე.** დესანტის ნაწილი აჯანყებულთა მხარეზე გადავიდა.

ჩვენ გვატყობინებენ:

თბილისი, ქუთაისი და ბათომი აჯანყებულებს არ დაუკავებიათ. ფოთი 30 აგვისტოს 8 საათის განმავლობაში აჯანყებულთა ხელში იყო. ოზურგეთი აჯანყებულების მიერ დაკავებული იყო 3 სექტემბრამდი. სამხრეთ საქართველო ახელციხის და ბორჯომის ოლქებით და ქალაქ ახალქალაქით ეხლაც აჯანყებულების ხელშია. 10 სექტემბერს მოსკოვიდან თბილისში ჩავიდა რკინისგზელების ტრანსპორტი; ისინი ამიერ-კავკასიის რკინისგზებზე დაიჭერენ იმ აგენტების თანამდებობებს, რომლებიც სამსახურიდან დათხოვნილი და დაპატიმრებული არიან აჯანყებაში მონაწილეობის მიღებისათვის. სომხეთის ყველა ქალაქებში გამოცხადებულია სამხედრო წესები. აფხაზეთის სოფლებიდან მძევლების სახით ბათომში გაგზავნილია 60 უხუცესი აფხაზი. სამხედრო სასამართლომ 9 სექტემბერს ბათომში დახვრიტა 39 წითელარმიელი და მწყობრის უფროსი, რომლებიც სცდილობდენ იარაღი აეყარათ თბილისიდან მოსულ ჯავშნიან რაზმისათვის. მოსკოვის მუშათა ჯგუფის წარმომადგენლები ჩისტიაკოვი, ლობდენკო და შილოვი, რომლებიც დაპატიმრებული იყვენ ქუთაისში, საგუბერნიო ჩეკის დადგენილებით დახვრეტილი არიან.

დუშეთის მაზრაში დამსჯელ რაზმის უფროსის განკარგულებით, დახვრიტეს აჯანყებაში მონაწილე 8 გლეხი, რომლებიც თავის ნებით გამოცხადდენ ადგილობრივ ხელისუფლებასთან. აზერბეიჯანში სადგურ აჯიკაბულის ახლოს უცნობმა პირებმა ააფეთქეს სამსაჟენიანი ხიდი, მოძრაობა შეფერხდა. ბაქოში საბუნჩის, ბიბი-ეიბატის და ბაილოვის რაიონები, სადაც მუშები სცხოვრობენ, გარშემორტყმულია ჯარებით და ქალაქის ცენტრში უშვებენ მხოლოდ იმ პირებს, რომელთაც აქვთ კომუნისტური ორგანიზაციების მოწმობები. საბრეწავებს იცავენ სამხედრო ნაწილები და აზერბეიჯანის „ჩონის“ რაზმები. სად. ბალაჯარაში სდგას და წასასვლელათ ემზადება ორი ჯავშნიანი მატარებელი. 10 სექტემბერს ქალაქ ტემირხანშურის ქუჩებზე ხდებოდა ბრძოლა. დარუბანდიდან ბაქოში ატყობინებენ, რომ იქ დაარბიეს სოფლის კომუნისტური ორგანიზაციები თერგის ოლქში ჯარში გაიწვიეს ის წითელარმიელები და ყაზახები, რომლებიც შარშან დათხოვნილი იყვენ ჯარიდან. კისლოვოდსკში გამოაცხადეს სამხედრო წესები. ეკატერინოდარიდან და ეისკიდან ჩრდილოეთში გაგზავნეს 5 სექტემბერს დაპატიმრებული ყოფილი ოფიცრები და სოციალისტები, რომლებიც აღრიცხვაზე იყვენ აყვანილი მთავარ პოლიტიკურ სამმართველოში.

ქერჩიდან და ფეოდოსიიდან ფოთში და ბათომში გაიგზავნა ქვეითა ჯარის სამი ტრანსპორტი. ნოვოროსიისკში ნავთსადგურის მუშების და მტვირთველების გაფიცვა გრძელდება“.

აი, ამხანაგებო, როგორ ცნობებს აწვდიან ევროპას იმის შესახებ, რაც ხდება საქართველოში, ამიერ და ჩრდილოეთ-კავკასიაში. ვინც იმ დღეებში იყო აქ ან სოფლად, ის ალბად ამისთანა ცნობებს მოკრავდა ყურს ქუჩაში ან და წაიკითხავდა მენშევიკების პროკლამაციაში. ის გაიგებდა იქიდან, რომ მთელი ამიერ-კავკასია ხელში აქვთ მენშევიკებს, ნოე ჟორდანია თბილისში არის და სხვა ამისთანა მენშევიკურ „სიმართლეს“.

როგორც ვხედავ, რასაც აქ ლაპარაკობდენ, იმასვე სწერენ ამ შავრაზმულ გაზეთებშიც.

რა თქმა უნდა, მენშევიკებს უნდოდათ მოეწყოთ აჯანყება მთელ ამიერ და ჩრდილო-კავკასიაში. თქვენ ალბათ გახსოვთ ჩვენ მიერ გამოქვეყნებული ნოე ჟორდანიას წერილი, სადაც ის ამბობდა, რომ აჯანყება უნდა დაიწყოს ჩრდილოეთ კავკასიამ, მოსწყვიტოს ამიერ-კავკასია რუსეთს და მერე მოედოს საქართველოსაცო. ასეთი იყო ჟორდანიას გეგმა.

პარიტეტული კომიტეტის წევრების ჩვენება

ახლა წავიკითხოთ ზოგიერთი ჩვენება იმ სახელოვან პარიტეტულ კომიტეტის წევრების, რომელთაც მოაწყეს ეს „აჯანყება“ ჩვენში. მე ხელთ მაქვს ეს მასალა. დავიწყოთ ბოჭორიშვილის ჩვენებიდან (ეს გახლავთ სოციალ-რევოლ. წარმომადგენელი პარიტეტულ კომიტეტში). პარიტეტული კომიტეტი შესდგებოდა შემდეგი პარტიის წარმომადგენლებისაგან: მენშევიკების, „სხივლების“, მემარჯვენე ფედერალისტების, ეროვნულ-დემოკრატების და ესერებისაგან. ესერების წარმომადგენელი ამ პარიტეტულ კომიტეტში გახლავთ, როგორც უკვე მოგახსენეთ, თვით ეს ბოჭორიშვილი.

რას ამბობს ის?

ის ძალიან დალაგებით მოგვიყვება, თუ რა კონფერენციები ჰქონდათ მათ, რაზე იმსჯელეს, რა გადაწყვეტილება გამოიტანეს და სხვ. ის მოგვითხრობს, თუ რა მოხსენება გააკეთა კოტე ანდრონიკაშვილმა „პარიტეტის“ სხდომაზე და სხვა ბევრ რამეს, გვიამბობს თუ როგორ და როდის უნდა დაეწყოთ აჯანყება, როგორ შეუშალა ამას ხელი ვალიკო ჯუღელის დაჭერამ და დაასკვნის: „პარიტეტის უკანასკნელი კრება იყო 18 აგვისტოს, როდესაც დაინიშნა აჯანყების დღეთ 28 აგვისტო, ღამის 2 საათი. ჩოლოყაშვილს უნდა აეღო მანგლისი და განეიარაღებია იქ მყოფი ჯარი; პოლკოვნიკ ცაგურიას უნდა აეღო ჩვენი არტილერიის ლაგერი ვაზიანში, სადაც, როგორც მოგეხსენებათ, იყო მთელი ამიერ-კავკასიის არტილერია, განეიარაღებია ნაწილები და ამის შემდეგ წამოსულიყო თბილისზე. ლაშქარაშვილს უნდა აეღო ახალქალაქი და გორი. თითონ პარიტეტულ კომიტეტს კი ხელმძღვანელობა უნდა გაეწია ყოველივე ამათთვის. პარიტეტული კომიტეტიც გადავიდა შიო მღვიმის მონასტერში, რათა აქედან დაეწყო ეს ხელმძღვანელობა აჯანყებისათვის“.

მართალი უნდა მოგახსენოთ, რომ შიო მღვიმის მონასტრიდან ხელმძღვანელობა მეტად საეჭვოა, ალბად ბერების ლოცვის იმედი ჰქონდათ.

ბოჭორიშვილი გვიამბობს: „კოტე ანდრონიკაშვილი და ჯავახიშვილი 24-ს გავიდნენ ქალაქიდან, და მეც, ბოჭორიშვილმა, რადგან ლეგალურად ვცხოვრობდი, გადავსწყვიტე 26-ს გავსულიყავი. წავედი მცხეთაში. იქ დამიხვდა კაცი, რომელმაც წამიყვანა ანდრონიკაშვილთან და ჯავახიშვილთან. იქვე დამხვდენ შალვა ამირაჯიბი და დავით ონიაშვილი. ჩვენ გვყავდა 5 მცველი.

28 აგვისტოს მოვიდა ლაშქარაშვილისაგან კაცი და გადმოგვცა, რომ იგი მზად არის აიღოს ახალქალაქი და გორი.

ჩვენც გავეცით განკარგულება, რომ აეღო გორი.

იმავ დღეს ჩოლოყაშვილისაგან მოგვივიდა კაცი მანგლისის რაიონიდან, რომელმაც გვა ცნობა,—300 კაცს ველოდი და მარტო 60 კაცი მოვიდაო, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, იმედი მაქვს ავიღო მანგლისი, იარაღს ავჰყრი ჯარსო და მერე გადავალ და კავშირს დავიკავებ ცაგურიასთანო.

29 აგვისტოს—განაგრძობს ბოჭორიშვილი—არავითარი ცნობა არ მოგვსვლია. 30-ს კი ჩოლოყაშვილმა შეგვატყობინა, მანგლისს დავეცით, მაგრამ ვერ ავიღეთო და იძულებული ვიყავი უკან დამეხიაო.

31-ს მოვიდა ხმა ჩვენამდე, რომ მთელ დასავლეთ საქართველოში აჯანყება დაიწყო“ ეს გახლავთ ხელმძღვანელი, პარიტეტულ კომიტეტის წევრი.

28-ში დაიწყეს აჯანყება, 31-ს მათთვის ყოველივე უკვე სამარცხვინოთ გათავდა და მათ კი 31-ს „მოსდით ცნობა“, რომ აჯანყება დაიწყოვო.

უკეთესი ხელმძღვანელი ღმერთმა შეარცხვინა.

„პირველ სექტემბერს არავითარი ცნობები არ გვქონდა. მეორე სექტემბერსაც არაფერი. ღამის 10 საათიდან ჩვენ ვიცვლიდით ალაგს. გადავდიოდით ერთი ადგილიდან მეორეზე. ამ დროს წითელარმიელებმა აგვიტეხეს სროლა. ჩვენი მცველები და ჩვენ გავიქეცით. მე ჩირგვებში დავიმალე. უცებ სიბნელეში თავზე წამომემტვრა იასონ ჯავახიშვილი, და დამიწყო რწმუნება: ზურგში ვარ დაჭრილიო, ვნახე—არავითარი ჭრილობა არ ჰქონდა. შემდეგ ჩამაცივდა—ფეხში ვარ დაჭრილიო. ფეხიც უნახე: არც იქ არავითარი ჭრილობა არ აღმოჩნდა. დილამდე გამოვიცვალეთ რამოდენიმე ადგილი. საღამოზე იასონ ჯავახიშვილმა წყურვილი ველარ მოითმინა და ჩამაცივდა წყაროზე წავიდეთო. მე ვეხვეწე კიდევ ერთი დღე მოეთმინა, მაგრამ მან ვერ შესძლო. ჩვენ წავედით შიო მღვიმის მონასტრის წყაროზე, სადაც დაგვიჭირეს.

შალვა ამირაჯიბი და დავით ონიაშვილი სადღაც გადიკარგნენ. გადიმალენ ანდრონიკაშვილიც და ჩვენი მცველებიც.

ფული მოდიოდა საზღვარ-გარეთიდან, მას ხარჯავდა პრეზიდიუმი. სჩანს, რომ უდიდესი რაოდენობა მოსულ ფულებისა იხარჯებოდა სამხედრო ორგანიზაციაზე, აჯანყების მოსამზადებლად.

ჟორდანიას წერილი, რომელიც იყო გამოგზავნილი აჯანყების მოსამზადებლად საზღვარ-გარეთიდან, მე პირველად გაზეთებში წავიკითხე, სადაც მოთავსებული იყო ტექსტი ამ წერილისა.

ერთ კრებაზე შევეკითხე ანდრონიკაშვილს: მართალია თუ არა ჟორდანიას წერილის არსებობა და, თუ მართალია, რატომ არ იყო გარჩეული პარიტეტულ კომიტეტის მიერ მეთქი?

მან მიპასუხა—ეს იმიტომ, რომ, წერილი გამოგზავნილი იყო მენშევიკური ცეკას სახელზეო.

ჩოლოყაშვილს კავშირი ჰქონდა პრეზიდიუმთან“.

აი, ასეთია ჩვენება პარიტეტულ კომიტეტის წევრის ბოჭორიშვილისა.

აი აქ, ამ ქაღალდებში, რომელიც ხელში მაქვს, არის ყველას მათი ჩვენება.

ჯავახიშვილი, მაგალითად, პირდაპირ ამბობს, რომ უკანასკნელ აჯანყების მოსაწყობად ფულები საზღვარ-გარეთიდან მოგვივიდაო. აქ ყველა ამის წაკითხვა დღეს შეუძლებლად მიმაჩნია. ეს გადავდოთ ახლო მომავლისათვის.

აქედან აშკარაა რას ამზადებდენ ეს ვაჟბატონები, რანაირად და რისი იმედი ჰქონდათ.

ფიქრი იმაზე, რომ მენშევიკები თავის ძალით აიღებდენ საქართველოს და გაიმარჯვებდენ—ამას ტუტუციც არ დაიჯერებს. ცხადია, რომ მთელს თავის იმედებს ისინი ამყარებდენ დასავლეთ-ევროპაზე: „მოვლენ ინგლისი და საფრანგეთი, და დაგვეხმარებიანო“.

ჩვენ ხელთ გვაქვს დოკუმენტი, რომელიც ამბობს, რომ საფრანგეთის პრეზიდენტმა მიიღო **ჩხენკელი** და დაჰპირდა მას დახმარება.

გვაქვს აგრეთვე დოკუმენტი, რომელიც ამტკიცებს, რომ ერრიომ მიიღო **წერეთელი და** დაჰპირდა დახმარება. **გვაქვს კიდევ ხელთ დოკუმენტი, რომელიც ეკუთვნის რენოდელს, საფრანგეთის მენშევიკურ პარტიის ბელადს. იქ ნათქვამია:** დაიწყეთ, იმოქმედეთ და ჩვენ,—რათაც უნდა დაგვიჯდეს—გიშველითო.

აი რას ამბობს ყოველივე ამის შესახებ ნაციონალ-დემოკრატების პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი იშხნელი:

„**ბენია ჩხიკვიშვილმა** მოგვიტანა შემდეგი კონკრეტიული ცნობები, რომელიც ჩვენ გადმოგვცა **იასონ ჯავახიშვილმა**: ერრიომ, რენოდელმა და საფრანგეთის მთავრობის სხვა წევრებმა მიიღეს წერეთელი და დაჰპირდენ მას დახმარებას, საქართველოს კითხვის გამოყოფას და სხ.

საზღვარ-გარეთელი ბიურო გვატყობინებდა: თუ საფრანგეთი ეხმარება რუმინიას და პოლონეთს, ჩვენც დაგვეხმარებაო.

1923 წლის დასაწყისში ჩვენ მივიღეთ ალექსანდრე ახათიანისაგან წერილი, სადაც ის წინადადებას გვაძლევდა, რომ რათა საზღვარ-გარეთ მოვახდინოთ შთაბეჭდილება, თითქოს არეულობა დაიწყო საქართველოში, შეუდექით ხიდების აფეთქებას, რკინისგზების გაფუჭებას და სხვაო.

სამი თვის წინათ დავით ვაჩნაძემ შეგვატყობინა, რომ, როგორც დაიწყებთ თუ არა აჯანყებას, ორი კვირის შემდეგ გამოგიგზავნიან იარაღსა და ფულსო“.

კიდევ ვისი იმედი ჰქონდათ ამ ვაჟბატონებს?

ჩრდილოეთ-კავკასიის, აზერბეიჯანის და ყუბანის ყაზახების.

ეს უკანასკნელნი ძველი მოკავშირენი არიან მენშევიკების და ნაციონალ-დემოკრატების.

მოვიგონოთ გეგეჭკორი და შავრაზმელი ნიკოლოზ II-ის ღენერალი ალექსეევი ეკატერინოდარში და სხ.

აი რას მოგვითხრობს მათზე იშხნელი, რომელიც რამდენიმეჯერ იყო ჩრდილოეთ-კავკასიაში პარიტ. კომიტეტის წარმომადგენლათ და მისი დავალებით:

„1924 წლის იანვრის ბოლო რიცხვებში პარიტეტულმა კომიტეტმა მე მეორეჯერ მომცა წინადადება გავმგზავრებულიყავი ჩრდილოეთ-კავკასიაში. პარიტეტული კომიტეტიდან მე მივიღე 100 ლირა და გავემგზავრე“.

შემდეგ იშხნელი გადმოგვცემს თავის საუბარს ალი მიტაევთან.

„როგორი შეიარაღებული ძალა შეგიძლიათ გამოიყვანოთ იმ შემთხვევაში, თუ აჯანყება დაიწყება—ვეკითხები მე.

ცოტა ხან ჩაფიქრების შემდეგ მან მიპასუხა, რომ შეგვიძლია გამოვიყვანოთ 2000 კაციო... ჩვენ კი საქართველოში მივიღეთ ცნობები (ამას გვატყობინებდა წინამძღვარიშვილი), რომ შეგიძლიათ გამოიყვანოთ 90000 შეიარაღებული კაცი, ნაწილი ცხენოსნები და ნაწილი ქვეითა.

— არა, პირველ დღეს 2000 თუ გამოვიყვანთ, მეტს ვერ შევძლებთ. ამასაც დიდი მნიშვნელობა ექნებაო“.

მეორე ადგილას იშხნელი ამბობს: მეჯლისის თავჯდომარემ მითხრა: „თქვენ კარგათ იცით, რომ იმ შემთხვევაში, თუ აჯანყება დაიწყო, რუსეთის აურაცხელი ჯარები შემოგვიტევენ ჩვენ და გაგვანადგურებენ, თუ სათანადო დახმარებას არ მივიღებთ ჯარებით საქართველოდან და აზერბეიჯანიდანო. ჩვენ პირველ ხანებში შეგვიძლია გამოვიყვანოთ მხოლოდ 1500 კაცი, ამ რაოდენობის გადიდება ან შემცირება კი დამოკიდებულია დამარცხებაზე ან გამარჯვებაზე; ამას გარდა, ჩვენ იარაღი გვაქვს, მაგრამ არა გვაქვს ვაზნები (პატრონები); იმედი გვაქვს, რომ მას მივიღებთ საქართველოდანო და სხვა.

თითქმის ყველა ასე მსჯელობდა. თქვენ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, თუ როგორ მდგომარეობაში ჩავარდებოდი მე ყველა ამის მოსმენის შემდეგ. მე მხოლოდ განვაცხადე, რომ მე ექიმი ვარ და არა სამხედრო პირი და ამიტომ ეს სპეციალისტების საქმეათქო. ჩემთვის უდავო იყო, რომ მათ აჯანყების მოწყობა არ სურდათ“.

აი კიდევ საუბარი პარიტეტული კომიტეტის მეორე მოკავშირესთან.

„სხდომას დაესწრო თერგის ყაზახების წარმომადგენელი პოლკოვნიკი ფედიუშკინი, რომელიც გამოწვეული იყო მთებიდან, სადაც ის იმალებოდა. მე მივმართე მას და უთხარი: ვიყოთ გულწრფელი! ჩვენ გვინდა დამოუკიდებელი საქართველო ისევე, როგორც ასეთი დამოუკიდებლობა სურთ მთიულეთის რესპუბლიკას და აზერბეიჯანს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბოლშევიკების დამარცხების შემდეგ თქვენ ჩვენს წინააღმდეგ გამოილაშქრებთ. შეგიძლიათ თქვენ პირობა მოგვცეთ, რომ ბოლშევიკების დამხობის შემდეგ ყაზახები ჩვენს წინააღმდეგ არ წამოვლენ?

ფედიუშკინმა მიპასუხა, რომ ის **პოლიტიკოსი არ არის**, ის მხოლოდ ძველი ჯარისკაცია; ჯერ დათვი მოვკლათ და მერე ტყავი გავიყოთო“.

რამდენი ბავშვური გულუბრყვილობა და სისულელეა ამ ლაყბობაში. ამის იმედი ჰქონდათ, როცა ხალხს მოუწოდებდნენ აჯანყებისთვის.

„ერთა ლიგამ“ „მოვალეობა“ მოიხადა

ლაპარაკობენ, რომ „ერთა ლიგამ“ დააყენა საკითხი საქართველოს შესახებ და ბოლშევიკები ამას მალავენო. მართალია, დააყენა. ეს ჩვენ არ დაგვიფარავს. დააყენა. მერე რა, რომ დააყენა? რამდენი სულელია ქვეყანაზე.

აი მოუსმინეთ, რას ლაპარაკობს ამის შესახებ სიტყვა-სიტყვით შვეიცარიის გაზეთი:

საქართველოს საკითხი ერთა ლიგაში.

ჟენევა. 12 სექტ.

გაზ. „ჟენევის ტრიბუნა“ იტყობინება, რომ ერთა ლიგის მიერ მიღებული რეზოლიუცია საქართველოს შესახებ შეტანილი იყო ერთა ლიგაში მაკდონალდის და ერრიოს პირადი ინიციატივით. მათ შეიტანეს ის იმ აზრით, რომ შეესრულებიათ თავისი დაპირება, რომელიც მისცეს საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებს ჯერ კიდევ პრემიერის თანამდებობის მიღებამდი. ამასთანავე მათ სურდათ ესიამოვნებიათ მეორე ინტერნაციონალისათვის, რომელთანაც ისინი დაკავშირებული იყვნენ სხვადასხვა ვალდებულებებით და რომელიც დაინტერესებულია საქართველოს საქმეებით. „მაგრამ ეს ფორმულები, რომლებიც გაჟღენთილია ბანალურ-პაციფისტური სულით,—ამბობს გაზეთი,—არ შეეფერება ერთა ლიგის ამოცანებს და მათ შეუძლიათ შეარყიონ მისი ავტორიტეტი. საჭირო იყო ან საბჭოთა მთავრობის გაკიცხვა, ანდა გაჩუმება“.

ჩვენ არასოდეს არ დაგვიფარავს, რომ ყველა შავრაზმელები, როგორც რუსეთის, ისე ევროპისა, მხარს უჭერენ მენშევიკებს, მაგრამ რა გამოვიდა? არაფერი.

მენშევიკები გამოიყენა ევროპის ბურჟუაზიამ და მით გაათავა თავის დახმარება, რისთვის დასჭირდა მენშევიკები მათ, ამაზე ქვევით.

რას ჰპირდებოდნენ აჯანყებულები ხალხს

როდესაც აჯანყებას იწყებ, ხალხს მოუწოდებ აჯანყებისათვის, რა თქმა უნდა, გარკვეული პროგრამა უნდა გქონდეს ამისათვის.

თუ შენ გარკვეული პროგრამა არა გაქვს, თუ ხალხს არ გაუშუქებ იმას, თუ რისთვის მოუწოდებ სისხლის დასაღვრელათ, თუ ხალხს ეს აშკარათ არ აქვს წარმოდგენილი, ის არ გაგყვება, რაც უნდა ბევრი იყვირო.

უნდა უჩვენო გლეხს, მუშას, ვაჭარს, თუ რისთვის მოუწოდებ მას, რომ იგი იარაღით ხელში გამოვიდეს არსებული მთავრობის წინააღმდეგ, უნდა უთხრა, თუ რა გინდა მისცე მას.

და აი ამ დოკუმენტებში ვერ ნახავ ვერც ერთ ისეთ ალაგს, რომელიც ამბობდეს, რომ ან მუშას უკეთეს მდგომარეობაში ჩავაყენებ, ვიდრე დღეს არის, რომ მუშას პატარა ხელფასი აქვს და გაუდიდებთო ან დიდი სამუშაო დღე აქვს და შეუმოკლებთო, ან რომ მიწას გლეხს გადავსცემთო.

ვერც ერთ ასეთ საკითხს თქვენ აქ ვერ ნახავთ.

არც იმას ამბობენ, რომ ბოლშევიკებს გავრეკავთ და სოფელს იაფფასიან პურს ან ჩითს მივაწოდებთო, არც ერთი ასეთი ეკონომიური კითხვა არ არის დასმული, გარდა ასეთ სისულელეებისა: „კომსომოლისტების ნუ გეშინიათ, მოვსჭრით თავსო და მოგიტანთო“. კარგი, მოსჭრან თავი კომსომოლისტებს და ბრეგვაძეს მიუტანონ, როგორც ამას სწერენ თავიანთ მოწოდებაში, რა გამოვა მერე ამით.

ერთად ერთი ლოზუნგი ამაში არის საქართველოს დამოუკიდებლობა. მეტს ვერაფერს ვერ მოითხოვენ.

ავიღოთ ანდრონიკაშვილის ჩვენება. ის ამბობს: „თქვენ გასაოცარი ხალხი ხართ, თავად-აზნაურობას ჩამოართვით მიწა-წყალი, ეხლა რაღას ემტერებით, ჩვენ შევუკავშირდით ყოფილ მექარხნეებს, თავად აზნაურობას, ყოფილ ოფიცრობას და სხვებს, რომელნიც თქვენი უკმაყოფილონი არიან“.

რატომ არიან ისინი ჩვენით უკმაყოფილონი? მექარხნეები იმიტომ, რომ ქარხნები ჩამოვართვით, ოფიცრობა იმიტომ, რომ პოგონები ჩამოვაგლიჯეთ, მემამულეები იმიტომ, რომ მამულები ჩამოვართვით და გლეხებს გადავეცით.

რა თქმა უნდა კახეთის თავად-აზნაურობა საბჭოთა ხელისუფლების მომხრე არ იქნება.

როდესაც დასავლეთ-საქართველოში მენშევიკებმა ჩვენ ჩხუბური დაგვიწყეს, კახეთში მთლად ადგა მთელი გლეხობა და გამორეკა თავიანთ სახლებიდან 300 კომლი თავად-აზნაურობა, ზოგი ქვითაც კი ჩაქოლა. და როდესაც ჩვენ კომისია გავგზავნეთ მიზეზების გამოსარკვევათ, ერთმა 60 წლის დედაკაცმა სთქვა და თან ტირილი დაიწყო: „მე ხელთ ქვა და ავიღე ჩავქოლე ერთი თავადი, რადგანაც მან ჯერ ოჯახში მემუშავა, მთელი ძალღონე წამართვა და შემდეგ გამაუპატიურა“-ო.

რასაკვირველია, ასეთი თავად-აზნაურობა ჩვენი მომხრე არ იქნება.

რას იტყვის ამაზე კოტე ანდრონიკაშვილი? მომხრეა ის იმ გლეხობის, რომელმაც გამორეკა ძველ მამა-პაპურ „სამფლობელოდან“ ყოფილი თავადები ანდრონიკაშვილები, ჯანდიერები, ჯავახიშვილები, ვაჩნაძეები, წინამძღვარიშვილები, ჩოლოყაშვილები და სხვები, მომხრეა თუ წინააღმდეგი?

ჩვენ აშკარად ვღიარებთ, რომ მომხრე ვართ კახელი გლეხების.

საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი

დღეს მენშევიკები, ჩოლოყაშვილები, ანდრონიკაშვილები, ჯავახიშვილები და ძმანი მათნი საქართველოს „დამოუკიდებლობის“ დამცველად გამოდიან.

რა თქმა უნდა საქართველოს არსებობის კითხვა, მისი კულტურულად და ეკონომიურად აღორძინება, მისი დამოუკიდებლობის არსებობა—ეს დიდი კითხვაა, ეს მთავარი კითხვაა. მაგრამ როგორ სჭრიან მას მენშევიკ-ნაციონალ-დემოკრატები და როგორ ვსჭრით ჩვენ, კომუნისტები: აი კითხვა. ჩვენ ბევრჯერ გვქონია ამაზე ლაპარაკი. შევეხოთ ამ კითხვას დღესაც.

რატომ ხდება ის, რომ ქაქუცა ჩოლოყაშვილი, ნიკოლოზის ძველი ოფიცერი, რომელსაც დიდ ღვთისწყალობათ მიაჩნდა ნიკოლოზის მუხლზე კოცნა, ვიმეორებ, რატომ არის, რომ დღეს ის გამოდის და გაიძახის, დამოუკიდებლობის მომხრე, საქართველოს განთავისუფლების მომხრე ვარო, და ჩვენ კი თქვენთან ერთად ვითომ არა ვართ ასეთები. თქვენთან ერთად-თქო—ვამბობ სწორედ იმიტომ, რომ, იმ დღეებში (28, 29, 30 აგვ.), როდესაც მათ დაიწყეს თავიანთი ავანტიურა, მთელი თბილისის მუშები ჩვენთან იყვნენ და არა საზიზღარ ხალხის მოღალატე მენშევიკ-ნაციონალ-დემოკრატებთან. თქვენთან ერთად-თქო,—ვიმეორებ—იმიტომ, რომ ფოთში სადაც **ერთი წითელი არმიელიც არ ყოფილა**, აი ამ ფოთში ერთად ერთი დამცველი მუშათა კლასის დიქტატურისა იყვნენ ფოთის მუშები. მან არამც თუ ხელის გაქნევის საშუალებაც კი არ მისცა მენშევიკების პროვოკატორებს, არამედ შიგნი, ქალაქშიც დაიცვა რევოლიუციონური წესები და თავის ძმა გლეხებსაც მიეხმარა.

იგივე მოხდა ბათომში, მთელი ბათომის მუშები ფეხზე დადგენ. მენშევიკებმა ვერსად ერთი მუშაც ვერ აიყოლიეს. მაგიერში მათ თან გაჰყვა: **ჩოლოყაშვილები, ანდრონიკაშვილები, ჯავახიშვილები, ჯანდიერები, დადიანები, ჩხოტუები, წერეთლები, აბაშიძეები და სხვა თავად-აზნაურობა.**

რათ მოხდა ასე?

განა მუშებს და გლეხებს არ სწამთ და არ უყვართ თავისი ერი? განა რომელიმე კლასს გამოუჩენია ისეთი სიგმირე თავის ერის დაცვაში, როგორც ეს გამოიჩინა მუშათა კლასმა საფრანგეთში პარიზის კომუნის დროს? განა ასეთივე გმირულათ არ ებრძოდენ რუსეთის მუშები სამი წლის განმავლობაში ანტანტას? ვინ გამოდის დღეს სასტიკი პროტესტით დოუესის წინააღმდეგ გერმანიაში? გერმანიის კომუნისტები. მეოცე საუკუნეში მხოლოდ და მხოლოდ კომუნისტური პარტია არის დაჩაგრული ერების ბოლომდის განთავისუფლების და მათი კულტურულათ და ეკონომიურათ აღორძინებისათვის მებრძოლი.

დღეს ჩვენი ერისთვის აშკარაა, თუ მას არ ეყოლა მტკიცე, ერთგული მოკავშირე, მისი აღორძინება და წინმსვლელობა შეუძლებელია.

ჩვენ გვინდა ნივთიერი დახმარება, ჩვენ გვინდა ჩვენი საწარმოების დაცვისათვის დახმარება. ჩვენთვის აუცილებელი საჭიროა ძლიერი ერთგული მოკავშირე. ვინ შეიძლება იყოს ასეთი მოკავშირე?

---

*) მოხსენება გაკეთებული იყო ნაძალადევის თეატრში.

საფრანგეთი გაიგებს სიმართლეს!

სპეციალური წერილი გაზ. „კომუნისტი“-სათვის

(თარგმანი ფრანგულიდან)

კამპანიამ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირის ცნობის წინააღმდეგ საფრანგეთში უკანასკნელი დროის განმავლობაში განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო. ამ კამპანიაში ყველაზე უფრო თავი ისახელეს საფრანგეთის სოციალ-რეფორმისტებმა, რომლებმაც ეგრეთ წოდებული საქართველოს საკითხი წამოაყენეს.

საფრანგეთის კაპიტალისტური პრესა და აგრეთვე მემარცხენე ბლოკის პრესაც ათასგვარ ყალბ ცნობებს ავრცელებენ საქართველოს შესახებ; ამ ცნობების მიზანია ჩირქის მოცხება საბჭოთა წესწყობილებისა და საქართველოს მთავრობისათვის.

რეფორმისტები იყენებენ მენშევიკების უკანასკნელ გამოსვლას, რომელიც ასე სამარცხვინოდ დამთავრდა და ამტკიცებენ, რომ საქართველოში რუსეთის ბოლშევიკების დიქტატურა და ქართველი ხალხი გმინავს მათი უღლის ქვეშ.

მთელი ამ კამპანიის მიზანია საფრანგეთის მშრომელების მოტყუება.

ჩვენ უკვე გავილაშქრეთ ამ სიცრუის და ცილისწამების კამპანიის წინააღმდეგ. მაგრამ ეხლა ჩვენ ვიწყებთ ახალ კამპანიას, რომელმაც დასავლეთის მშრომელ მასებს უნდა გააცნოს საქმეთა ნამდვილი ვითარება. ჩვენი კონტრ-კამპანიის ნაკლი იყო ის, რომ ჩვენ საკმაოდ არ გვქონდა უტყუარი საბუთები.

ეხლა ეს ნაკლი გამოსწორებულია. მე მოვახერხე ადგილობრივ, საქართველოში შემეგროვებია ცნობები მენშევიკების გამოსვლების შესახებ.

ნამდვილ მდგომარეობას მე ჩემი თვალით გავეცანი. მე ეხლა შემიძლია სისწორით შევაფასო ის, რაც მოხდა. მე ეხლა უკვე მესმის იმ კამპანიის მიზეზები, რომელიც გააჩაღეს ფრანგმა სოციალისტებმა; ამ კომპანიით მათ სურთ შეცდომაში შეიყვანონ საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრი და ხელი შეუშალონ საფრანგეთის მიერ საბჭოთა კავშირის მთავრობის ცნობას.

საფრანგეთში დაბრუნების შემდეგ მე შევეცდები დავანახვო ფართო მასებს მთელი სიცრუე მენშევიკურ ბელადების, რომლებიც პირდაპირ ვერ ბედავენ გამოაცხადონ თავისი თავი საერთაშორისო ბანკირების აშკარა ლაქიებად და საქართველოს ამბების მოიზეზებით გააფთრებულ კამპანიას ეწევიან საფრანგეთის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობის წინააღდეგ.

მაგრამ ეხლა უკვე ბოლო ედება იმ მდგომარეობას, რომელიც შექმნეს ფრანგმა მენშევიკებმა იმის გამო, რომ დასავლეთი მოკლებული იყო ნამდვილ ცნობებს ამბების შესახებ. ჩვენს ხელთ არის ყველა დოკუმენტები, რომლებიც თვალებს აუხელენ საფრანგეთის მუშებს და დაანახვებენ მათ, რომ ჰუმანიტარულ კომპანიის ნილაბ-ქვეშ იფარება საძაგელი პოლიტიკანების—მუშათა კლასის მოღალატეების ქვენა ზრახვები.

საქართველოს მუშებს და გლეხებს შეუძლიათ დამშვიდებული იყვნენ. მალემათი ძმები დასავლეთში გაიგებენ სრულ სიმართლეს და აბა მაშინ გაბედოს ერრიოს მთავრობამ უარის თქმა საბჭოთა მთავრობის ცნობაზე.

ჟ. დავიდ

თბილისი, 4 ოქტ.

მენშევიკები და ნაციონალ-დემოკრატები სწერენ თავიანთ პროკლამაციებში: „ჩვენ გვეხმარებიან ინგლისი და საფრანგეთი, ბოლშევიკებს კი რუსეთიო“.

ჭეშმარიტება.

დიახ, ჩვენ გვეხმარება ბოლშევიკური რუსეთი, ლენინის წითელი რუსეთი და თქვენ პუანკარე, ერრიო, კერზონი. ჩვენ გვეხმარება რუსეთის მუშა და გლეხი, თქვენ კი ეძებთ დახმარებას შავრაზმელ ნიკოლოზის გენერალთან ფედუშკინთან (იხ. იმნელის ჩვენება).

გვიჩვენეთ ვაჟბატონებო, რომელი პატარა ერი დაიცვეს და გაანთავისუფლეს ერრიო-მაკდონალდმა, პუანკარე-კერზონმა.

ნუ თუ მენშევიკებმა არ იციან რას შვრება ინგლისი და საფრანგეთი ინდოეთში და აფრიკაში, სპარსეთში და ავღანისტანში, რას უშვრებიან იგინი დღეს ჩინეთს, რას შვრება ინგლისი ირლანდიაში. განა ყოველივე მათი მოქმედება ამ ქვეყნებში ვისთვისმე სიიდუმლოებაა?

რათ არის, რომ ამ ქვეყნებში თითქმის მუდმივ აჯანყება არის ინგლისის და საფრანგეთის წინააღმდეგ. რათ არის, რომ ყველა ამ ქვეყნებში მცხოვრებ ხალხს ეზიზღება და სძულს ინგლისი და საფრანგეთი? და იმავე დროს იგინი [illegible] და იმედით შესცქერიან ჩვენ საბჭოთა კავშირს. რითი აიხსნება, რომ სულ ახალგაზრდა ჩვენმა დიპლომატიამ დაამარცხა აღმოსავლეთში—ჩინეთში, სპარსეთში, ავღანისტანში ძველი გამოცდილი ინგლის-საფრანგეთის დიპლომატია? მხოლოდ და მხოლოდ იმით, რომ საბჭოთა კავშირი არის ნამდვილი მეგობარი დაჩაგრული ერებისა. მათი განთავისუფლება შეიძლება მხოლოდ საბჭოთა კავშირის დახმარებით და მეგობრობით.

რას უქადის საქართველოს ინგლის-საფრანგეთის დახმარება? საქართველოს ინგლის-საფრანგეთის კოლონიათ (ახალშენად) გადაქცევას.

რა უნდა საფრანგეთს და ინგლისს ჩვენში? ჩვენი შავი ქვა და ბაქოს ნავთი. უსაქართველოთ ამის ჩაგდება მათ ხელში შეუძლებელია. მენშევიკებს უკვე დიდი ხანია ხელშეკრულება აქვთ ამის შესახებ მათთან. ამის დამადასტურებელი დოკუმენტები უკვე გამოქვეყნებული იყო ჩვენს პრესაში.

ისინი ჩვენ გვიკიჟინებენ რუსის ჯარი ჰყავთ საქართველოში, თვითონ კი წარსულში გერმანულ-ინგლისურ ჯარის საშუალებით ბატონობდენ აქ და დღესაც, როცა მათ თავიანთ ავანტიურა დაიწყეს, ყურები გამოგვჭამეს ყვირილით—ინგლის-საფრანგეთის ჯარი უკვე შემოვიდა ბათომშიო. განა ამას არ გაიძახოდენ ეს ვაჟბატონები გურიაში, სამეგრელოში, განა ჩვენი აეროპლანი ქიათურაში მათ ინგლისის აეროპლანათ არ მოეჩვენათ? მაშ რაშია საქმე? თუ უცხო ჯარზეა ლაპარაკი, განა ინგლისის ჯარი ქართველი გლეხისთვის და მუშისთვის უფრო უცხო არ არის, ვინემ რუსის წითელი არმიელი? იმას ხომ ვერავინ ვერ უარყოფს, რომ საქართველოს რუსეთთან ასი წლის ისტორია აქვს. იმას ხომ ვერავინ ვერ უარყოფს, რომ ქართველი მუშა და გლეხი რუსის მუშასთან და გლეხთან ერთად იბრძოდა ოცი წლის განმავლობაში წითელი დროშის ქვეშ ქართველი და რუსის მემამულეების წინააღმდეგ, ერთად იბრძოდენ ქართველი და რუსის კაპიტალისტების წინააღმდეგ.

რატომ სძულთ ჩოლოყაშვილებს და ანდრონიკაშვილებს წითელი ლაშქარი და უყვართ ინგლის-საფრანგეთის ჯარი?

ამიტომ, რომ ინგლისის მთავრობა [illegible] ქართველ ვაჭარს [illegible] მუშებისაგან.

დღეს რომ აქ ინგლისის ჯარი იდგეს კახელი გლეხები ყოფილ თავად-აზნაურობას ვერ გამორეკდენ გარეთ და მათ ვენახებს თითონ ვერ დაიკავებდენ. ამიტომ სძულს თავად-აზნაურობას წითელი არმია და უყვარს ინგლისის ჯარი.

გაიძახიან: გაიყვანეთ რუსის ჯარიო.

თქვე მამაცხონებულებო, გაიძახით გაიყვანეთ რუსის ჯარიო და იმავე დროს „გვახარებთ“ ინგლის-საფრანგეთის ჯარი მოგვყავსო.

დაგვანებეთ, ბატონებო, თავი და ჩვენ რუსსაც და ქართველსაც წითელი არმიიდან ორივეს შინ გაუშვებთ. დაგვანებოს ინგლისმა და საფრანგეთმა თავი და ჩვენ მუდმივი ჯარიდან ტერიტორიალურ (მილიციონურ) სისტემაზე გადავალთ. მაშინ ტამბოველი ტამბოვში დარჩება და ქუთაისური ქუთაისში.

მენშევიკები ყოფილ თავადებთან და აზნაურებთან, მღვდლებთან და ვაჭრებთან გაიძახიან საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ვიბრძვითო და ნამდვილად კი მათ რომ გაემარჯვებიათ, საქართველოს ინგლისის კოლონიად გადააქცევდენ, მიუხედავათ იმისა, სურთ მათ ეს თუ არა.

ჩვენ დაუზოგველი მტერი ვართ ყოველგვარ ჩაგვრის და განსაკუთრებით ერთა დაჩაგვრის. ჩვენ უარვყოფთ საქართველოს ინგლისის ან საფრანგეთის კოლონიათ გადაქცევას და გვინდა მისი დამოუკიდებლობა საბჭოთა კავშირში.

მე არ დავფარავ და აშკარათ ვიტყვი, რომ დღეს ჩვენ კიდევ ბევრი რამ გვაკლია ამ მხრივ, მაგრამ ამის მიზეზი საბჭოთა კავშირი კი არ არის, არამედ ის იმპერიალისტური სახელმწიფოები, რომლებიც ჩვენ მოსვენებას არ გვაძლევენ, საშუალებას გვისპობენ ჩვენი პროგრამის განსახორციელებლად. რაც უფრო დრო გავა, რაც უფრო წინ წავა ჩვენი ეკონომიური აღმშენებლობა, მით უფრო მეტი საშუალება მოგვეცემა ისე მოვაწყოთ პატარა ერების ცხოვრება, რომ მათ სრულებით დაავიწყდეთ საზიზღარი წარსული, როდესაც გაბატონებული ერი პატარა ერებზე ბატონობდა.

ის, რაც ამ სამ წლის ნახევარში გაკეთდა საქართველოს კულტურულ და ეკონომიურ აღორძინებისათვის, ეს მისი მოწმეა, რომ რუსეთი არის ჩვენი უანგარო მოკავშირე მეგობარი. სამ წელიწად ნახევრის მუშაობამ დაუმტკიცა ქართველ გლეხს და მუშას, რომ მისი ინტერესების დაცვა, როგორც ეროვნულ-კულტურულის, ისე ეკონომიურის, ყველაზე უფრო კარგათ შეიძლება საბჭოთა კავშირში. ეს იყო მიზეზი, რომ იგი არ გაჰყვა მენშევიკ-ნაციონალ-დემოკრატების მოწოდებას.

არა ცოტა მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ ქართველმა გლეხმა და მუშამ უცებ იგრძნო და დაინახა, რომ თუ დღეს ისევ დამყარდა მენშევიკური წესწყობილება, ხვალ დაიწყება ეროვნული ომი ქართველსა და სომეხს შორის, ქართველების და თათრებს შორის, ოსების და ქართველებს შორის, ქართველებსა და აფხაზებს შორის და სხვა.

ეს ბრძოლა იყო წარსულში მენშევიკების დროს.

ტყუილად კი არ აისხა 1500 აჭარელმა გლეხმა იარაღი, ტყუილად კი არ დადგა ფეხზედ აფხაზეთი და ოსეთი, ტყუილად კი არ აიღო თოფი ხელში ახალციხელმა. არა, იგინი შეიარაღდენ საბჭოთა ხელისუფლების დასაცავათ, ვინაიდან მენშევიზმს თან მოაქვს ერთაშორის სიძულვილი და ჟლეტა.

არა თუ გამარჯვებული მენშევიზმი მოუტანდა საშინელებას საქართველოს. დღესაც კი, როდესაც იგი სასტიკათ დამარცხებულია, სცდილობს თავისი შხამით მოსწამლოს ჩვენი ცხოვრება.

რას შვრება დღეს ის, რა პროვოკაციას სთესავს გარეშემო.

ჩვენ და ქართველი ინტელიგენცია

მერე რა ხმებს ავრცელებენ დღეს თბილისში? აჯანყება სომხების მოწყობილია, მათ გააბრიყვეს მენშევიკების ნაწილი, მათ ეხლა შეთქმულება აქვთ, მათ შორის სომეხი კომუნისტებიც არიან. მათ უნდათ მოკლან პასუხისმგებელი კომუნისტები, რომ ამით გამოიწვიონ ქართველების დახვრეტა და სხვა. აი რა საზიზღარ ხმებს ავრცელებენ ისინი.

ამ სამარცხვინო და საზიზღარ ხმების გავრცელებაში მონაწილეობას ღებულობს ზოგიერთი კაციჭამია ქართველი ინტელიგენტი.

ჩვენ აშკარათ უნდა გავაფრთხილოთ ყველა ასეთი საძაგელი ჭორიკანები და ვუთხრათ: ჩვენ არ მივცემთ არავის ნებას ოდნავ მაინც დაარღვიოს ის ეროვნული ზავი, რომელიც არსებობს ჩვენში დღიდან საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა.

ჩვენ კარგათ გვესმის, თუ რისთვის სჩადიან ამას ის ვაჟბატონები.

მათ თავის თვალით დაინახეს ის საშინელება, რაც მათ ავანტიურამ ჩვენ დაგვატეხა თავზე. ისინი კარგათ ხედავენ, რა საშინელ წყევლა და კრულვას უძღვნის მათ საქართველოს მშრომელი ხალხი. მათ უნდათ ხალხის რისხვა თავიდან აიცილონ და ეს სხვაზე გადიტანონ. ამიტომ ეწევიან ისინი ასეთ საზიზღარ პროვოკაციას.

საქართველოს მშრომელმა ხალხმა კარგათ იცის ვინც იყო იმ სისაძაგლის ჩამდენი, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჩვენში აგვისტოს უკანასკნელ რიცხვებში. მას ვერავინ დაატყუებს.

აქვე ორიოდე სიტყვა ჩვენს ქართველ ინტელიგენციაზე.

ქართველი ინტელიგენციის ნაწილი განზე სდგას, გაბუტულია და თავისი თავი ქვეყნის მარილად მიაჩნია. იგი წინააღმდეგია საბჭოთა ხელისუფლების და იმავე დროს მოითხოვს საბჭოთა ხელისუფლებისაგან ფეხქვეშ ფიანდაზათ გაეგოს მას. იგი შავი ზღვისკენ იყურება და იმავე დროს მოითხოვს საბჭოთა ხელისუფლებისაგან, რომ მან ეს არ შეამჩნიოს.

იგი სწამლავს ჩვენს ახალგაზრდობას სკოლებში და იმავე დროს მოითხოვს მას კარგი ჯამაგირები მიართვა ამისათვის, ის საბჭოთა დაწესებულებებში ბრძანდება, იქ თავს იფარებს და იმავე დროს ხელს უწყობს იმ ვაჟბატონებს, ვინც ჩვენს წინააღმდეგ აჯანყებას ახდენენ ან კიდევ თვითონ უდგება სათავეში ამ საძაგელ საქმეს.

რა თქმა უნდა, ასეთი მდგომარეობის გაგრძელება შეუძლებელია. ან მტრობა ან მოყვრობა.

რა თქმა უნდა, მტერს მტრულად მოეპყრობიან, მოყვარეს მოყვრულად.

ინტელიგენციის ცხოვრებაში ეს შემთხვევითი მოვლენა არ არის. ჩვენი ინტელიგენცია თავის ბუტიაობას ეროვნულ ქურქში ახვევს, მაგრამ ეს გაცვეთილი სამოსელია.

ჩვენ კარგად ვიცით, როგორ შეხვდა საბჭოთა ხელისუფლებას რუსეთში რუსეთის ინტელიგენცია.

მიუხედავათ იმისა, რომ საბჭოთა რუსეთში იბრძოდენ რუსეთის მუშები და გლეხები, რუსეთის ინტელიგენციის ერთი ნაწილი იარაღით ხელში შავრაზმელებთან ერთად იბრძოდა რუს მუშის და გლეხის წინააღმდეგ.

მიუხედავათ იმისა, რომ რუსეთის მუშა და გლეხი იბრძოდა უცხო ქვეყნის წინააღმდეგ, რუსეთის ინტელიგენციის ნაწილი იყო უცხოელების ბანაკში, მათგან ფულებს ღებულობდა და ებრძოდა რუს გლეხს და მუშას. ამას შვრებოდა ერთი ნაწილი, მეორე ნაწილი რუსეთის ინტელიგენციისა კი იჯდა საბჭოთა დაწესებულებებში და ეწეოდა საშინელ საბოტაჟს. ხმარობდა ყოველივე ღონისძიებას ხელი შეეშალა საბჭოთა ხელისუფლებისათვის. ასე იქცეოდა რუსეთის ინტელიგენცია რუსეთში ამ უკანასკნელი ორი-სამი წლის წინად. ეხლა ის ასე აღარ იქცევა. ის მუშაობს.

როგორ მოიქცა ჩვენი ინტელიგენცია? ის უფრო მოქნილი გამოდგა. მან აშკარათ საბოტაჟი ან ვერ გაბედა ან არ მოინდომა. იმან სხვა გზა აირჩია. თავი შეინახა, სამსახურში შევიდა და თანაც თავისი არ დაიშალა. ის „პარიტეტული კომიტეტის“ თავმჯდომარეც გახლავთ და საბჭოთა კოოპერაციის თავმჯდომარეც (კოტე ანდრონიკაშვილი), ის ექიმიათაც მსახურობს და „პარიტეტული კომიტეტის“ წარმომადგენელიც ბრძანდება (იმნელი) და კიდევ მრავალი სხვები ამისთანები. თუ [illegible] გაწმენდის დროს ის სამსახურს გარეშე დარჩა, ის მაშინვე ყვირილს დასცემს: არიქა. მე, ქართველი „გამომდევნეს“ და ჩემს მაგივრათ სომეხი მიიღესო.

მე ვფიქრობ აქედან ხეირი არ გამოვა. რაც მოხდა მარიამობის თვის უკანასკნელ დღეებში მისი განმეორება შეუძლებელია.

რა თქმა უნდა, ჩვენ ინტელიგენცია გვჭირდება; რა თქმა უნდა, თუ ჩვენ ინტელიგენცია გვეყოლება, მაშინ ყოველმხრივ უფრო მალე და წინ წავა ჩვენი აღმშენებლობა. მაგრამ ამისათვის საჭიროა ასეთი ინტელიგენტი, რომელიც შავი ზღვისაკენ იყურება! მათ ჩვენ ურჩევთ ნამეტანი ყურებით თვალები არ აიტკივონ, თუ ეჭრიანებათ თვითონ შავი ზღვით წაბრძანდენ იქ, სადაც ბრძანდება მათი სატრფო—ნოე ჟორდანია. სხვათა შორის, იქ „დემოკრატიული რესპუბლიკაც“ არსებობს, ხოლო ის ინტელიგენტი, რომელსაც სწამს მუშურ-გლეხური მთავრობა, და რომელიც პატიოსნათ და სინდისიერათ იმუშავებს საბჭოთა ხელისუფლებასთან, ასეთი ინტელიგენტი ჩვენთან იქნება და ჩვენც ძმათ [illegible] მასთან გავიზიაროთ ყოველივე, ძმათ [illegible] მისი კრიტიკაც და მისი ლანძღვაც. ის კი, ვინც ძველებურათ [illegible] მოქმედებას, [illegible] გული ნუ დასწყდება, თუ [illegible] ძველებურათ ველარ მივსცეთ.

არ დავფარავთ და აშკარათ ვიტყვით. ჩვენი ინტელიგენცია, მისი უმრავლესობა პირდაპირ შვილია ჩვენი თავად-აზნაურობის. ჩვენში მარტო ძველი ნიკოლოზის ოფიცრობა შეადგენს არა ნაკლებ 6000—7000 კაცს. ამათში ხომ ვერც ერთს გლეხის ან მუშის შვილს ვერ ნახავთ. ამ ინტელიგენციისთვის არც ისე ადვილია ძველის ერთხელ და სამუდამოთ გამოთხოვება. ზოგს მიწა ჩამოერთვა, ზოგს გლეხებმა მამა გამოუგდეს სახლიდან. ერთი სიტყვით „ტლანქი“ გლეხი გაბატონდა სოფლად და ჩვენი ინტელიგენტის მამას თუ ძმას, ყოფილი თავადია იგი თუ აზნაური, მღვდელი თუ ბერი, ვაჭარი თუ ყოფილი ჩინოვნიკი—ყოველივე უფლებებს ჩამოართმევს. მაგრამ აქ ვეღარაფერს ვერ ვიზამთ. ინტელიგენციის გამოსავალი [illegible] არ დაგვიხვდეთ. ვისაც ხალხთან მუშაობა სურს, მან ჩვენთან უნდა იმუშაოს. სამუშევარი ბევრი გვაქვს.

ჩვენ გულწრფელად მოუწოდებთ ყველა ინტელიგენტს ჩაებას ამ ეტაპზე სამეურნეო მუშაობაში. ავაყვავოთ ყოველმხრივ ჩვენი პატარა ქვეყანა. ინგლისი და საფრანგეთი არას გვიშველის.

რათ დასჭირდათ „აჯანყება“

მათ საქართველოში აჯანყება სჭირდებათ, ჯერ ერთი, იმისთვის, რომ ჩვენ საბჭოთა კავშირში მუდამ იყოს ომი, რათა ვერ შევსძლოთ აღმშენებლობა, ვერ ავაშენოთ სახელმწიფო, ვერ წავწიოთ მუშების და გლეხების მდგომარეობა წინ, რომ შემდეგ უთხრან მუშებს: აი თქვენი საბჭოთა სახელმწიფო, რა ყრია შიგ, ყველა მშიერი და მწყურვალე არისო.

კერძოდ საქართველოში მომხდარი ამბები საჭირო იყო იმისთვის, რომ დღეს საფრანგეთს ლაპარაკი აქვს საბჭოთა კავშირის იურიდიულ ცნობაზე. საფრანგეთს დიდი დავა აქვს ჩვენთან. საფრანგეთიდან ნიკოლოზის მთავრობას ჰქონდა წამოღებული არა ერთი და ასი მილიონი, არამედ რამოდენიმე მილიარდი მანეთი. ამ მილიარდებზე არის ლაპარაკი.

რა თქმა უნდა, ჩვენ მათ ვერაფერს მილიარდებს ვერ მივსცემთ. ერრიოსთვის საჭიროა ვისმე საშუალებით ჩვენ ხელი დაგვაჭიროს. ისიც ჟორდანიას აჯანყების „ზაკაზს“ აძლევს. დაიწყე,—დაგეხმარებითო. ჟორდანია „პირნათლათ“ ასრულებს დავალებას, მხოლოდ ჯარებით დახმარებაზე უკაცრავათ ნუ ვიქნებით. მან სალაპარაკო იშოვნა.

მთელი ევროპის რეაქციონური, ბურჟუაზიული პრესა სწერს: აი საქართველოში საშინელი აჯანყება მოხდა. მთელი მუშა და გლეხი აუჯანყდა კომუნისტურ მთავრობას.

დღეს სასტიკ ბრძოლას აწარმოებენ მაკდონალდის წინააღმდეგ ლიბერალები და კონსერვატორები. ხომ იცით მეორე ინტერნაციონალის ბელადი, დღეს ინგლისის მთავრობის თავმჯდომარეა. მან შეკრა ხელშეკრულება საბჭოთა კავშირთან, რომლის ძალით ჩვენ უნდა მოგვცეს სესხი.

ინგლისის კონსერვატორები, ლიბერალები და საერთოდ რეაქციონური ნაწილი წინააღმდეგი არიან ამ ხელშეკრულების, იგინი წინააღმდეგი არიან მაკდონალდის, უნდა ჩამოაგდონ ის. თქვენ იცით, რომ ინგლისში კონსერვატორებს ყველაზე მეტი დეპუტატები ჰყავთ, მერე მაკდონალდის პარტიას, შემდეგ ლიბერალებს. მაგრამ უმრავლესობა არცერთს არ ჰყავს, მაშასადამე არც ერთს პარტიას არ შეუძლია მთავრობის შედგენა. ისინი ფიქრობენ მაკდონალდის ჩამოგდებას და ახალი არჩევნების დანიშვნას.

მაკდონალდი რა თქმა უნდა ათასჯერ იტყოდა უარს ამ ხელშეკრულებაზე—მაგრამ მისდა საუბედუროდ 6 მილიონი მუშა მომხრეა ამ ხელშეკრულების და მაკდონალდისაგან მოითხოვენ მის დაცვას. ამ საკითხის ირგვლივ სასტიკი ბრძოლა სწარმოებს. დღეს მაკდონალდს სურს საქართველოში მომხდარი ამბების გარშემო ღრიალით მოახდინოს ერთგვარი არევ-დარევა მუშათა კლასში—„აი ხომ ხედავთ ხალხო, სოციალისტებს, „მეორე ინტერნაციონალისტებს“ ხვრეტენ“ და სხვ. და თუ ეს გავლენა მოახდინა, ისარგებლებს ამით ხელშეკრულებაზე უარი სთქვას და რამოდენიმე კვირე კიდევ შეირჩინოს ძალა-უფლებას.

მე უკვე მოგახსენეთ, თუ როგორ გავიმარჯვეთ ჩვენ ჩინეთში. ჩინეთი არ შეუშინდა ამერიკას და ინგლისს, და მოაწერა ჩვენთან ხელშეკრულებას ხელი. მე ვცნობ საბჭოთა კავშირს, ვკრავ მასთან ხელშეკრულებას, ვაძლევ რკინისგზებს, უბრუნებ შენობებს და სხვა—განაცხადა ჩინეთის მთავრობამ.

ამერიკა და ინგლისი ხედავს მიდის მათი გავლენიდან ჩინეთი, ამას ისინი ვერ ითმენენ. ისინი ხარჯავენ აუარებელ ოქროს და აწყობენ სამოქალაქო ომს ჩინეთში და თანაც თავის ჯავშნიან გემებს მიაცურებენ ჩინეთის ნაპირზე. ასევე იქცევიან ავღანისტანში, ინდოეთში.

საბჭოთა კავშირის გავლენა იზრდება აღმოსავლეთში. ეს მოსვენებას არ აძლევს ერრიო-მაკდონალდს-კერზონს, ამიტომ იგინი მენშევიკების საშუალებით აწყობენ ავანტიურას ჩვენში და მერე გაჰკივიან: აი დახედეთ რა ხდება იქ, საბჭოთა ხელისუფლებას, საბჭოთა კავშირს უჯანყდება პატარა საქართველო. ამით უნდათ მათ სახელი გაუტეხონ საბჭოთა კავშირს.

ჩვენში მომხდარი ამბების მიზეზი ჩვენში კი არა, იქ პარიზში, ლონდონში და ნიუ-იორკში უნდა ვეძიოთ. იქ არიან ის ვაჟბატონები.

ტყუილად კი არა აქვს ჩხუბი ევროპის და ამერიკელ გაზეთებს. ამერიკელი გაზეთები ამბობენ, რომ საქართველოს აჯანყება საფრანგეთის ფულებით მოხდაო. ამავე დროს საფრანგეთის გაზეთები ამტკიცებენ, რომ საქართველოს აჯანყება მოწყობილია ამერიკელ ნავთის მწარმოებლების ფულებითო.

ვინ რამდენი მისცა, ჩვენ ეს არ ვიცით ჯერჯერობით, მხოლოდ ორივემ რომ მისცეს, ეს კი აშკარაა.

თუ დღეს საფრანგეთის, ინგლისის, ამერიკის ბურჟუაზია მენშევიკებს აძლევს ფულს საქართველოში აჯანყების მოსახდენად, ცხადია ამას ისინი არ შვრებიან საქართველოს „განთავისუფლებისთვის“. საფრანგეთის და ინგლისის ბურჟუაზია სცდილობდა მოეხდინა „აჯანყება“ საქართველოში. თუ აჯანყება გაიმარჯვებდა, ისინი წამოასკუპებდენ აქ ჟორდანიას მთავრობას, რადგანაც მენშევიკები მათი ყურმოჭრილი მონები არიან. თუ ვერ გაიმარჯვებდენ, მაშინ მათ გაზეთებში ხომ მაინც მიეცემათ საშუალება იღრიალონ: ბოლშევიკები ასეთი და ისეთები არიანო. მათ რა ენაღვლება, თავზე რას კარგავენ. ამით მინდა გავათავო დღეს ჩემი მოხსენება.

მე მინდოდა შევჩერებულიყავი დღეს ზოგ ჩვენ ნაკლულევანებაზე. მაგრამ ამაზე სხვა დროს. (გაგრძელება მეხუთე ფაში).

კონსერვატორების და ლიბერალების კამპანია „მუშათა მთავრობის“ წინააღმდეგ

ინგლისის მუშათა პარტია ემზადება ახალი არჩევნებისათვის.—ლიბერალებს ეშინიათ ახალი არჩევნების.—კონსერვატორებმა გადასწყვიტეს ჩამოაგდონ მაკდონალდის მთავრობა.—ოთხშაბათს მოხდა შეჯახება მთავრობასა და კონსერვატორებს შორის.—მოელიან თემთა პალატის დათხოვნას.—[illegible]გოთ ყალბი ცნობების გავრცელებას საბჭოთა მთავრობის შესახებ.

ბიბლიოთეკა

ინგლისის მთავრობა საბჭოთა მთავრობის შესახებ

ლონდონი. 3 ოქტომბერი. გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგმა პონსონბიმ თემთა პალატაში შეკითხვაზე პასუხის გაცემის დროს განაცხადა, რომ ინგლისის მთავრობა სცნობს საბჭოთა მთავრობის ხელისუფლებას საქართველოზე, მაგრამ ის თავის თავს ნებას არ აძლევს გამოსთქვას რაიმე აზრი ამ ხელისუფლების წარმოშობის შესახებ, ვინაიდან ეს საკითხი შეეხება მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა მთავრობას.

კენვორტიმ (ლიბერალი) მისცა შეკითხვა—არის თუ არა რუსეთში დაპატიმრებული ინგლისის რომელიმე ქვეშევრდომები, გარდა მეთევზეებისა, რომელთაც არ ჰქონდათ პასპორტები? პონსონბიმ უპასუხა, რომ რუსეთის შესახებ ვრცელდება ბევრი ცნობები, რომლებიც მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს.

განათლების მინისტრმა ტრეველიანმა განაცხადა, რომ მიიღო ზომები იმის გამოსარკვევად თუ რამდენად შესაძლებელია ინგლისში რუსული ენის სწავლების გაფართოება მასწავლებლების და სტუდენტების გაგზავნით რუსეთში და რუსეთიდან ინგლისში.

მუშათა პარტია მზად არის ახალი არჩევნებისათვის

ლონდონი. 3 ოქტომბერი. მუშათა მთავრობის მომხრეები ემზადებიან საყოველთაო არჩევნებისათვის. ფიქრობენ, რომ მთავრობა გადადგება მომავალ ოთხშაბათს, როცა პალატა განიხილავს კონსერვატორების მიერ წარდგენილ რეზოლიუციას მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ.

მუშათა პარტიის ერთ-ერთი ბელადის აზრით, პარტია სავსებით მზად არის საყოველთაო არჩევნებისათვის. ამ არჩევნების დროს ის ენერგიულად დაიცავს ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებას.

ლიბერალებს ეშინიათ ახალი არჩევნების

ლონდონი. 3 ოქტომბერი. ლიბერალური პრესა შეშინებულია ასკვიტის დეკლარაციით.

გაზ. „დეილი ნიუზ“ სწერს, რომ მომავალში „კარგს არაფერს მოელის“.

„ახალი არჩევნებით,—სწერს გაზეთი,—მოხდება არახელშეკრულების ან კომუნისტური ორგანოს გასამართლების საკითხების გამო.—არჩევნებს მიეცემა გააფთრებული ბრძოლის ხასიათი, რომლის დროსაც მოწინააღმდეგე მხარეები არჩევნების გადასაბირებლად გააძლიერებენ კლასთა შუღლს.

ჩვენ არ გვსურს მოხდეს ახალი არჩევნები. ჩვენ არავითარი სურვილი არ გვაქვს, რომ მუშათა პარტია დასუსტდეს და გაძლიერდენ კონსერვატორები.

მთავრობამ უნდა გამონახოს საშუალებები, რათა შეუთანხმოს თავისი პოზიცია რუსეთის საკითხში ლიბერალების რეზოლიუციას.

„მანჩესტერ გარდიენ“-ი მდგომარეობას სერიოზულად თვლის, გაზეთი აცხადებს: „მთავრობას არაფერი არ გაუკეთებია იმისათვის რომ განემტკიცებია რწმენა, რომ ხელშეკრულება რეალური იქნებოდა. თუ მთავრობას აქვს ასეთი საბუთები, ის კარგს იზამს, თუ წარმოადგენს მათ“.

კონსერვატორები ყოყოჩობენ

ლონდონი. 3 ოქტომბერი. კონსერვატორების ბელადმა ბალდვინმა სიტყვა წარმოსთქვა კონსერვატორების მიტინგზე ნიუკასტელში: თავის სიტყვაში მან აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირთან დადებული შეთანხმება მას არ მიაჩნია მტკიცედ და ფიქრობს, რომ შეიძლება კონსერვატორებს სულ ახლო მომავალში დასჭირდეთ მიმართვა ხალხისადმი; მაშინ კი „ყველა გონიერი ადამიანები გაერთიანდებიან რომ მისცენ ქვეყანას მტკიცე მთავრობა“.

ახალი არჩევნების მოლოდინში

რომი. 3 ოქტომბერი. გაზ. „დეილი ტელეგრაფ“-ის სიტყვით, ინგლისში პოლიტიკური მდგომარეობა ამჟამად ისეთია, რომ თემთა პალატის წრეებს ახალი არჩევნები აუცილებლად მიაჩნიათ.

ლონდონი. 3 ოქტომბერი. სამშაბათს შესდგება ინგლისის მუშათა პარტიის წლიური კრება. მოსალოდნელია მაკდონალდმა ამ კრებაზე წარმოსთქვას ვრცელი სიტყვა ინგლისის მთავრობის მომავალი პოლიტიკის შესახებ.

მუშათა კლასის მსჯავრი

ლონდონი. 3 ოქტ. მუშათა მთავრობის წევრმა კლაინსმა 2 ოქტომბერს ლონდონში წარმოსთქვა სიტყვა. მან განაცხადა:

„ლიბერალების და კონსერვატორების სიძულვილი მუშათა მთავრობისადმი ისეთივე ძლიერია, როგორც მათი ცდა ხელახლა დაიბრუნონ ძალა-უფლება. როგორც ლიბერალები, ისე კონსერვატორები ცდილობენ დაამხონ მუშათა მთავრობა.

„ჩვენ გვკიცხავენო,—სთქვა კლაინსმა,—იმისათვის, რომ პრინციპიალურად დაუჭირეთ მხარი საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის დამყარებას. საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განახლება სურდათ ლიბერალებსაც და კონსერვატორებსაც კოალიციონურ მთავრობის დროს; ჩვენი ჩამოგდება უნდათ იმისათვის, რომ ჩვენ გავიმარჯვეთ იქ, სადაც ისინი დამარცხდენ.

ევროპაში მშვიდობიანობის აღდგენა შეუძლებელია საბჭოთა კავშირთან მეგობრულ ურთიერთობის დამყარების გარეშე. ჩვენი მტრები დღეს სდგამენ გაბედულ ნაბიჯებს, რათა გააკარწყლონ ის დადებითი შედეგები, რომელიც უზრუნველყოფილია მუშათა მთავრობის საგარეო პოლიტიკით.

მუშათა პარტიის რიგები არ შემცირებულა. ნდობა, რომელიც მუშათა მთავრობას არ შეუძლია უზრუნველყოს თემთა პალატაში, აღდგენილი და განმტკიცებული იქნება იმ განაჩენით, რომელსაც ხალხი გამოიტანს.

ლიბერალებს შეეშინდათ

ლონდონი, 3 ოქტ. ინგლისის პოლიტიკურ წრეების აზრით, ლიბერალების შესწორება კონსერვატორების მიერ წარმოდგენილ რეზოლიუციაში ამტკიცებს, რომ ლიბერალები ყოველ ღონეს ხმარობენ თავიდან აიცილონ პარლამენტის დათხოვნა და ახალი არჩევნების დანიშვნა. თავისი შესწორებით ისინი არა თუ უარს ამბობენ მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადებაზე კემპბელის საქმის გამო, არამედ მზად არიან წავიდენ რაიმე მისაღებ კომპრომისზე ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების საკითხშიც.

პოლიტიკურ ძალთა განწყობილება

ლონდონი. 3 ოქტომ. პოლიტიკურ წრეების შთაბეჭდილება მუშათა მთავრობის წინააღმდეგ დაწყებულ კამპანიის გამო, შემდეგნაირად ხასიათდება:

მუშათა მთავრობის გავლენა და ნდობა მასებში განსაკუთრებით ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების დადების შემდეგ თვალსაჩინოთ გაიზარდა. მისი პრესტიჟი კი მუშათა მოძრაობის აქტიურ მოღვაწეთა შორის დაეცა.

ლიბერალები სცდილობენ ხელი აიღონ მუშათა მთავრობისათვის მხარის დაჭერის პოლიტიკაზე და მოიპოვონ კომერციულ წრეების ყურადღება ხელშეკრულებისადმი ოპოზიციაში ჩადგომით. მაგრამ ლიბერალები ვერ ბედავენ მთავრობის წინააღმდეგ გალაშქრებას ამ საკითხში, რადგან ეშინიათ რეაქციონერების სახელის მოხვეჭის.

კონსერვატორებმა მტკიცეთ გადასწყვიტეს დაამხონ მუშათა მთავრობა, როგორც კი ეს შესაძლებელი იქნება.

კემპბელის საქმემ გაართულა მდგომარეობა, რადგან უნდობლობის რეზოლიუცია გამოტანილი იქნება არა მთავარი საკითხის გამო. ასეთ პირობებში უნდობლობის რეზოლიუციის მიღება მექანიკურად არ გამოიწვევს ახალი არჩევნების დანიშვნის საჭიროებას. მეფეს შეუძლია დაავალოს კონსერვატორების ლიდერს ბალდვინს ახალი მთავრობის შედგენა.

ასეთ პირობებში ლიბერალები უნდა შევიდენ კოალიციაში, თუ მთავრობა კონსერვატორებმა შეადგინეს, ან პირიქით—თუ მთავრობას შეადგენენ ლიბერალები.

საერთო აზრი ისეთია, რომ ლიბერალები შეეცდებიან ჩამოაგდონ მთავრობა კემპბელის საქმის და არა ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების საკითხის გამო.

ფიქრობენ რომ, იმ შემთხვევაში, თუ დაინიშნა ახალი არჩევნები, ლიბერალები არ წამოაყენებენ თავიანთ კანდიდატებს კონსერვატორების წინააღმდეგ იმ ოლქებში, სადაც წამოყენებული იქნებიან მუშათა პარტიის კანდიდატები.

მუშათა წრეები მომხრე არიან ახალ არჩევნების და სურთ უზრუნველჰყონ ისეთი მდგომარეობა, რომლის დროსაც მთავრობა დამარცხდება არა კემპბელის საქმის, არამედ ხელშეკრულების საკითხის გამო.

დადის ხმები, რომ მთავრობას განზრახული აქვს დააყენოს ნდობის საკითხი არა ნოემბერში, როგორც ამას ფიქრობდენ, არამედ მომავალ კვირაში.

ლონდონი, 3 ოქტომბერი. „რეიტერის“ სააგენტოს პოლიტიკურ კორესპონდენტის აზრით მთავრობა უსათუოდ დამარცხდება მომავალ ოთხშაბათს. როდესაც კენჭს უყრიან კონსერვატორების რეზოლიუციას კემპბელის საქმის გამო, მთავრობა იძულებული იქნება გადადგეს, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ დანიშნული იქნება ახალი არჩევნები მაკდონალდს მეფის თანხმობით შეუძლია არ შეიტანოს განცხადება გადადგომის შესახებ და მეფის თანხმობით დაითხოვოს პარლამენტი, რასაც შედეგად მოჰყვება ახალი არჩევნების დანიშვნა. ფიქრობენ მაკდონალდი დაადგება უკანასკნელ გზას

ლიბერალების ახალი ხრიკები

ლონდონი. 3 ოქტომბერი. „რეიტერის“ სააგენტოს მიერ მიღებულ ცნობებით, ლიბერალებმა გადასწყვიტეს შეიტანონ შესწორება კონსერვატორების რეზოლიუციაში. შესწორებაში ლიბერალები გაჰკიცხავენ მთავრობას და მოითხოვენ, რათა დაინიშნოს სპეციალური კომისია კემპბელის საქმის გამოსაძიებლად. ჯერ-ჯერობით ძნელია თქმა იმის, თუ რა შედეგები მოჰყვება ლიბერალების ამ მოულოდნელ ნაბიჯს.

— **ლონდონი.** 3 ოქტომბერი. თემთა პალატის კულუარებში ფიქრობენ რომ ლიბერალების შესწორება კემპბელის საქმის გამო არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენს მთავრობისათვის. ლიბერალების შესწორება მოითხოვს მხოლოდ სპეციალურ კომიტეტის დანიშვნას იმ საკითხის გამოსარკვევათ, თუ რატომ სთქვა უარი პროკურატურამ კომუნისტ კემპბელის ბრალდებაზე. ფიქრობენ, რომ მთავრობა მიიღებს შესწორებას, რადგან ეს ექნება გამოსავალი შექმნილ მდგომარეობიდან.

ყალბი ცნობები

ნიუ-იორკი. 3 ოქტომბერი. კატეგორიულად უარყოფენ ცნობას თითქო ამერიკელ ბანკირების კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიც უარს ამბობს საბჭოთა კავშირთან ვაჭრობისათვის ფინანსიურ დახმარების აღმოჩენაზე. ირკვევა, რომ ეს ხმები გავრცელებული იყო იმ მიზნით, რათა ნდობა დაეკარგათ საბჭოთა კავშირის ფინანსიურ სიმტკიცისათვის. ბანკირთა კონფერენციას არავითარი რეზოლიუცია არ მიუღია რუსეთის საკითხის გამო. გარდა ამისა კონფერენციაზე მონაწილეობას ღებულობდენ ნიუ-იორკის ბანკების გამოჩენილი წარმომადგენლები, რომლებიც ფინანსიურ დახმარებას უწევენ საბჭოთა კავშირთან ვაჭრობას, ეს კი მოწმობს იმას, რომ ასეთი რეზოლიუცია არ შეიძლებოდა მიეღო კონფერენციას.

ამ ხმების გამო გაზ. „უოლსტრიტ ჟორნალი“ აღნიშნავს: „საბჭოთა კავშირმა დიდძალი ბამბა შეიძინა ამერიკაში. ელექტრონის და მრეწველობის სხვა დარგებმაც მიიღეს საბჭოთა კავშირისაგან შეკვეთა. ვაჭრობა ამერიკასა და საბჭოთა კავშირს შორის თანდათანობით იზრდება.“

თავს ნუ იწუხებენ

ბერლინი. 3 ოქტომბ. „ბერლინერ ცაიტუნგ ამ მიტაგ“-ის რედაქტორმა ლიუდვიგ შტეინმა გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც ეხება გერმანიის და საბჭოთა კავშირის დამოკიდებულებას ერთა ლიგისადმი.

ის სწერს:

„გერმანიის მემორანდუმი ერთა ლიგაში შესვლის შესახებ ემყარება რაპალოს ხელშეკრულებას. მაგრამ აქედან ისეთი დასკვნა არ უნდა გავაკეთოთ, თითქო საბჭოთაკავშირის გავლენას. ერთა ლიგაში გერმანიის შესვლის წინააღმდეგ დიდი მნიშვნელობა აქვს.

საბჭოთა მთავრობის შიში ნაწილობრივ გამოწვეულია იმ პრინციპიალური დაბრკოლებებით, რომლებიც ეღობებიან საბჭოთა კავშირის შესვლას ერთა ლიგაში. ჩიჩერინი, რაკოვსკი და ლიტვინოვი ამჟამად პრინციპიალურად ეწინააღმდეგებიან საბჭოთა კავშირის შესვლას ერთა ლიგაში“.

გაზეთი ბოლოს ამტკიცებს, რომ ინგლისში და საფრანგეთში არჩევნების შემდეგ საგრძნობლად შეიცვალა პოლიტიკური მდგომარეობა.

„ფსიქოლოგიური მომენტი,—ამტკიცებს შტეინი,—ერთა ლიგაში გერმანიის შესასვლელად არავითარ შემთხვევაში ხელიდან არ უნდა იქნეს გაშვებული. ეს სასარგებლოა საბჭოთა კავშირისთვისაც. თუ გერმანია მიიღებს ადგილს ლიგის საბჭოში, ეს შექმნის პირობებს მომავალში ერთა ლიგაში საბჭოთა კავშირის მისაღებად.

უკანასკნელი ცნობები

მთავრობის რეორგანიზაციის გარშემო

ბერლინი 4 ოქტ. თუ რა სახით მოხდება საიმპერიო მთავრობის რეორგანიზაცია გამოირკვევა მხოლოდ მომავალ კვირაში. ვინაიდან ნაციონალისტებმა განუცხადეს კანცლერს, რომ მისი მოლაპარაკება სოციალისტებთან ქმნის ისეთ მდგომარეობას, რომელიც მოითხოვს წინასწარ განხილვას ნაციონალისტთა ფრაქციაში.

ებერტი მოქმედობს

პარიზი. 4 ოქტ. ბერლინის ლიბერალური პრესა ერთხმად აღნიშნავს, რომ ნაციონალისტები აღშფოთებული არიან სოციალისტების საქციელით.

„ფორვერტ“-სი ერთად-ერთ გამოსავალს შექმნილი მდგომარეობიდან ხედავს რეიხსტაგის დათხოვნაში. ნაციონალისტების ორგანო მოითხოვს სახალხო პარტიისაგან, რომ მან შეასრულოს თავისი სიტყვა.

„ლოკალ ანცაიგერ“ აცხადებს, რომ პრეზიდენტი ებერტი ცდილობს შექმნას ისეთი პირობები, როცა ახალი არჩევნები აუცილებელი იქნება.

ნაციონალური მოძრაობის მეთაურის დაპატიმრება

ლონდონი. 4 ოქტ. ინდოეთში ნაციონალური მოძრაობის მეთაური ბრამინი იატამა დააპატიმრეს რანგუნში. მას აბრალებენ შეთქმულების მოწყობას.

მოლაპარაკების შეწყვეტა.

ლონდონი. 4 ოქტომბერი. ინგლის-ეგვიპტის მოლაპარაკება მოულოდნელად შეწყდა, რადგან ზაგლულ-ფაშა გაიწვიეს კაირში. იმედი აქვთ, რომ მოლაპარაკება განახლდება.

მეფე ჰუსეინის გადადგომა.

ლონდონი. 4 ოქტომბერი. უკანასკნელად მიღებული ცნობები ადასტურებენ, რომ ირაკის მეფე ჰუსეინი გადადგა. ჰუსეინი მექქიდან ჯედაში გაიქცა. მასთან ერთად ჯედაში ჩავიდა 16,000 ლტოლვილი ხოჯა.

ანატოლ ფრანსის ავადმყოფობა.

პარიზი. 4 ოქტომბერი. ანატოლ ფრანსის მდგომარეობა გაუარესდა.

ჩვენი კომპარტიის კონფერენცია

პრაგა 3 ოქტ. ჩეხიის კომპარტიის კონფერენციაზე ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის ბელადმა შმერალმა განაცხადა: „ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის ცეკა სრული ნდობით უცქერის კომინტერნს; კომინტერნის მეხუთე კონგრესის გადაწყვეტილებები პარტიამ უნდა მიიღოს; პარტიის ცეკას არასოდეს არ გაუგია მუშათა მთავრობის ლოზუნგი, როგორც პარლამენტარული კოალიცია სოციალ-დემოკრატიასთან. პარტიის უახლოეს ამოცანებად შმერალს მიაჩნია შემდეგი:

პარტიის რეორგანიზაცია ფაბრიკა-ქარხნების უჯრედების საფუძველზე, რეორგანიზაციის შემდეგ გადამწყვეტი გავლენის მოპოვება ყველა მნიშვნელოვან სამრეწველო ცენტრებში მეტი ყურადღების მიქცევა ფაბრიკა-ქარხნების მოძრაობისათვის, რომლის გაძლიერება უზრუნველყოფილი იქნება იმ შემთხვევაში, თუ ის იბრძოლებს ყველა მუშებისათვის გასაგებ მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. საჭიროა აგრეთვე დახმარების აღმოჩენა კომუნისტურ ახალგაზრდობის მოძრაობისათვის, რომელსაც ჯერ კიდევ არ დაუპყრია ახალგაზრდა მუშების მასები. გლეხთა საკითხში დაძლეული უნდა იქნეს უნდობლობა ქალაქის და სოფლის მშრომელთა ინტერესებს შორის. პარტიის საერთო ხაზს ნაციონალურ საკითხში განსაზღვრავს ლენინის თეზისი, საჭიროა მხოლოდ კომინტერნის მე 2 კონგრესის საერთო ფორმულები შეფარდებული იქნეს თვითეული ქვეყნის თავისებურ პირობებთან. პარტიის ბოლშევიზაცია სერიოზული ამოცანაა, პარტიამ უნდა გაიაროს ბოლშევიზმის სკოლა. ოპოზიციას, რომელსაც მეთაურობს მეიროტი, არ შეუძლია პარტიის ხელმძღვანელობა.

ბალდვინის განცხადება

ნაუენი. 3 ოქტომბერი. კრებაზე ნიუ-კასტლში ბალდვინმა განაცხადა, რომ ინგლისის ვაჭრობის გაუმჯობესება წარმოუდგენელია სხვა ქვეყნების ვაჭრობის აღდგენის გარეშე. მსოფლიო ვაჭრობა უსათუოდ დანგრევამდე მივა, თუ მასში არ იქნა ჩაბმული თვითეული მსხვილი სახელმწიფო. ამნაირად ის სარგებლობა, რომელსაც მოიტანს გერმანიის ეკონომიურად აღდგენა, ბევრათ გადააჭარბებს გერმანიის კონკურენციით გამოწვეულ ზარალს. ბალდუინის სიტყვით, გერმანიისათვის სესხის მიცემა აუცილებელია.

ს. ს. ცაკის მესამე სესია
შესდგება 6 ოქტომბერს

დღის წესრიგი:

1. ს. ს. რ. მთავრობის მოხსენება.
2. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ.
3. განათლების სახალხო კომისარიატის მოქმედების შესახებ.
4. ადგილობრივი საბჭოთა აპარატების შესახებ.
5. ა) საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუციის გადასინჯვის შესახებ.
   ბ) ს. ს. ცაკის დებულების შესახებ.
   გ) სახალხო კომისართა საბჭოს დებულების შესახებ.
   დ) ცალკე სახალხო კომისარიატების დებულების შესახებ.
6. დისციპლინარულ სასამართლოს შესახებ.
7. ცვლილებათა და დამატებათა შესახებ, რომელშიც იქნენ შეტანილნი კოდექსებში სესიიდან სესიამდე.
8. გლეხთა საურთიერთო დამხმარე კომიტეტების შესახებ.
9. მიმდინარე საკითხები.

ს. ს. ცაკის მდივანი საბაშვილი.

ორშაბათს, 6 ოქტომბერს საღამოს 6 საათზე
სახელმწიფო ოპერის შენობაში
შესდგება

საქართველოს ცაკის სესიის სხდომა

მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების თბილისის საბჭოს გაფართოებულ პლენუმთან ერთად

მოწვეული არიან: ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტები, ადგილკომები და სამხედრო ორგანიზაციები

ამხ. ფ. მახარაძე და მიასნიკოვი
გააკეთებენ მოხსენებას

მენშევიკური ავანტიურის შესახებ

საქართველოს ცაკის მდივანი საბაშვილი
თბილისის საბჭოს თავმჯდომარე სუსიშვილი

ორშაბათს, 6 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, სახალხო სახლში (ყოფ. ზუბალაშვილის სახელობის) დანიშნულია

ტფილისის საბჭოს მორიგი სხდომა

დღის წესრიგი:

1) განათლების განყოფილების მუშაობის ანგარიში.
2) ჯანმრთელობის განყოფილების მუშაობის ანგარიში.
3) მიმდინარე საკითხები.

დასწრება ყველა წევრთა და კანდიდატთა სავალდებულოა.

ნ. 1604 1—1. პრეზიდიუმი.

მდგომარეობა გერმანიაში

ანტანტა და გერმანია.

პარიჟი. 3 ოქტ. ხუთშაბათს პარიზში მინისტრთა საბჭოში გაიმართა თათბირი ერთა ლიგაში გერმანიის შესვლის შესახებ. საფრანგეთის პრესის ცნობით, საფრანგეთის მთავრობამ თანხმობა განაცხადა ლიგაში გერმანიის მიღებაზე და ერთა ლიგის საბჭოში გერმანიის მუდმივ წარმომადგენლობაზე, მაგრამ საფრანგეთი უარს ამბობს შეიტანოს გერმანიის სასარგებლოთ რაიმე ცვლილება ლიგაში მიღების საერთო წესებში. ფიქრობენ, რომ ინგლისი და ბელგია შეუერთდებიან საფრანგეთის თვალსაზრის. ერრიო გამართავს თათბირს ინგლისის და ბელგიის პრემიერებთან გერმანიის ნოტაზე გარკვეულ პასუხის შესამუშავებლად.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

მოსწავლეთა მიღება მუშფაკებზე შეწყდა.

მოსკოვი. 1 ოქტომ. პროფ. განათლების მთავარი სამმართველო აცხადებს, რომ მოსწავლეთა მიღება მუშფაკებზე და აგრეთვე მათი გადაყვანა ერთი მუშფაკიდან მეორეზე შეწყვეტილია. აკადემიური წმენდის დროს მუშფაკებიდან გამორიცხულთა საჩივრები პროფგანათლების მთავარი სამმართველოს მიერ მიღებული აღარ იქნება.

პიონერთა გაზეთი.

მოსკოვი. 1 ოქტომბ. საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ საჭიროდ სცნო გამოსცეს პიონერთა სრულიად საკავშირო გაზეთი.

ჩვენი მორიგი ამოცანები

ამხ. კუიბიშევის მოხსენება ცენ. საკონტროლო კომისიის პლენუმზე

მოსკოვი, 4 ოქტ. 3 ოქტომბერს ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პლენუმზე საბჭოთა კავშირის ცენტრ. საკონტრ. კომისიის თავმჯდომარემ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარმა ამხ. კუიბიშევმა გააკეთა მოხსენება ცენტრ. საკონტრ. კომისიის ამოცანების შესახებ.

ამხ. კუიბიშევმა აღნიშნა, რომ ცენტრ. საკონტრ. კომისიის მთავარი ამოცანას შეადგენს—თვალყური ადევნოს კლასთა ურთიერთობას, მიიღოს ზომები მუშათა და გლეხთა კავშირის განსამტკიცებლად და ამით უზრუნველჰყოს ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვარნი.

სრული საფუძველი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ეს წელიწადი იქნება ჩვენთვის ყოველმხრივ პროგრესის წელიწადი.

მუშათა და გლეხთა კავშირის უზრუნველსაყოფელად საჭიროა ჩვენი მრეწველობის გამაგრება. საერთოთ მრეწველობა ვითარდება ძალიან ჩქარის ტემპით. მიმდინარე წლის აგვისტოში დამზადებული მთელი საქონლის ღირებულება უდრის 124 მილიონ მანეთს, ე. ი. პროდუქცია გადიდებულია 31 პროც. 1923 წლის აგვისტოსთან შედარებით.

შარშან ჩვენს ამოცანას შეადგენდა საქონელზე ფასების დაკლება. ამ მხრივ ბევრი რამ გაკეთდა.

ვაჭრობისა და კოოპერაციის საკითხებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ. საჭიროა არა მარტო ვებრძოლოთ კერძო კაპიტალს, არამედ მოვაწესრიგოთ ვაჭრობა ისე, რომ, განსხვავება საბითუმო და საცალო ფასებს შორის რაც შეიძლება ნაკლები იქნეს.

შემდეგ ამხ. კუიბიშევი აღნიშნავს, რომ საჭიროა გვახსოვდეს მე-13 პარტიულ ყრილობის დირექტივა კერძო კაპიტალთან ბრძოლის შესახებ.

საექსპორტო გეგმის მიხედვით, ჩვენ ისე, როგორც წინათ უცხოეთში გავიტანთ უფრო მეტ საქონელს, ვიდრე შემოვიტანთ. 1924—25 წ. განმავლობაში განზრახვა გვაქვს გავიტანოთ 466 მილიონი მანეთის საქონელი, შემოვიტანოთ 392 მილიონი მანეთის.

მთავრობა და პარტია ენერგიულ ზომებს იღებენ შრომის ნაყოფიერების გასადიდებლათ. საჭიროა საორგანიზაციო ღონისძიებებით დავაინტერესოთ მუშა, დავანახვოთ მას, რომ ჩვენ ვიცით მეურნეობის გაძღოლა და შრომის ნაყოფიერების გადიდებასთან ერთად გადიდებთ შრომის ხელფასსაც.

მუშაობაში შრომის ნაყოფიერების გასადიდებლად უნდა ჩავაბათ მუშათა ფართო მასები.

საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საწარმოვო თათბირების, კომისიების და ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების საკითხებს.

შეეხო რა შინა პარტიულ მუშაობას, ამხ. კუიბიშევმა აღნიშნა, რომ მე-13 პარტყრილობის შემდეგ პარტიის შიგნით არ ქონებია ადგილი რაიმე უთანხმოებას და პარტიულ მთლიანობის დარღვევის ცდას. პარტიის მდგომარეობა საერთოთ და მთლიანად დამაკმაყოფილებლათ უნდა ჩაითვალოს. საჭიროა ყოველი ზომები მივიღოთ იმ უთანხმოების სრული ლიკვიდაციისათვის, რომელიც არსებობდა მე-13 პარტყრილობის მოწვევამდე.

პარტიის წმენდა მოსკოვსა და სხვა ადგილებში სწარმოებდა სავსებით წესიერად და ამას მოჰყვა დადებითი შედეგები.

მთავარ ამოცანად უნდა იქნას მიჩნეული პარტიული აღზრდა და შემდეგ კი პარტიული წესით დასჯა. პარტიიდან გამორიცხულ გლეხების პროცენტი შემცირდა უფრო მეტად ვიდრე გამორიცხულ მოსამსახურეთა პროცენტი.

პარტკოლეგიებში მუშების ჩაბმა ითამაშებს უდიდეს როლს. პარტკოლეგიის მუშაობა უნდა წარმოადგენდეს ჩვენს პარტიულ ორგანოების მთავარ ამოცანას.

ჩვენ უდიდეს მნიშვნელობას ვაკუთვნებთ კავშირს ცენტრალურ საკონტროლო კომისიასა და ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტებს შორის. მხოლოდ მაშინ, როდესაც კავშირი ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტებთან ორგანიზაციულად იქნება განმტკიცებული, განხორციელებული იქნება ილიჩის ანდერძი სანიმუშო დაწესებულების შექმნის და სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესების შესახებ.

შავი ზღვის ფლოტი ფოთში

ნავთსადგურში

პირველ ოქტომბერს ფოთს ესტუმრა შავი ზღვის წითელი ფლოტის ნაწილი თერთმეტი გემის შემადგენლობით. დილის ათი საათიდან მსყობრად შემოდიან ნავთსადგურში გემები.

წინ მოდიან წყალქვეშა ნავები, შემდეგ ნაღმოსნები, კონტრ-ნაღმოსნები, გამანადგურებლები და უკანასკნელად კრეისერები. კრეისერი „კომინტერნი" დგას რეიდზე. მასზედაც არიან ფლოტის სამხ. და პოლიტიკური ხელმძღვანელები. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები კატერ „წითელ ოქტომბერზე" სამხედრო ორკესტრით მიდიან „კომინტერნთან", რომელზედაც ჩამწკრივებულნი არიან წითელი მეზღვაურები.

მეზღვაურები ყველა ახალგაზრდებია.

ხელისუფლების წარმომადგენლები ესალმებიან მათ და იპატიჟებენ „კომინტერნს" ნავთ-სადგურში. სადაც მას ხვდება ფოთის პროლეტარიატი, მუშათა და წითელ არმიელთა საბჭოს წევრები, ზღვა დროშებით და სამხედრო ორკესტრით.

ფოთის საბჭოს საზეიმო სხდომა

ფოთის მუშათა და წითელ არმიელთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. გოგია ხსნის საბჭოს სხდომას პროფორგანიზაციებთან ერთად, ესალმება წითელ ფლოტს, უსურვებს მას გამარჯვებას.

მისასალმებელ სიტყვებით გამოდიან ფოთის პარტკომის მდივანი და პროფბიუროს მდივანი ამხ. გოგისაძე, კომკავშირის მდივანი ამხ. ჯიბლაძე, ფოთის მეზღვაურების სახელით ამხ. თუნია და მტვირთველი მუშების სახელით ამხ. ურჩანიშვილი.

ამხანაგები მხურვალედ ესალმებიან წითელ ფლოტს და უსურვებენ მას მოკლე დროში გადაიქცეს მთელი მსოფლიო პროლეტარიატის წითელ ფლოტად.

საპასუხო სიტყვას ამბობს შავი ზღვის ფლოტის უფროსი ამხ. ვიქტოროვი ფლოტის რევოლიუციონური საბჭოს სახელით ამხ. კირეევი და წითელ მეზღვაურების სახელით ამხ. პეტროვი.

შესანიშნავი და ფრიად შინაარსიანი იყო უბრალო მეზღვაურის ამხ. პეტროვის სიტყვა, რომელმაც მეზღვაურების სახელით ფიცი დასდო რომ წითელი მეზღვაურებს უკანასკნელ სისხლის წვეთამდი იბრძოლებენ მუშურ-გლეხური რესპუბლიკის დასაცავად.

მეზღვაურების კვების საქმის გასაუმჯობესებლად. ქალაქის საბჭომ გადასცა ხუთასი მანეთი, ფოთის მეზღვაურთა კავშირმა და ადგილობრივ სატრანსპორტო კავშირმა ორას-ორასი მანეთი. მეზღვაურები მოწვეულ იქნენ სადილზე ადგილობრივ მუშათა კლუბის სასადილოში.

სტუმრად წითელ მეზღვაურებთან.

იმავე დღეს ფოთის მუშების ნაწილმა დაათვალიერა სამხედრო გემები.

აუწერელია ის სიხარული და აღფრთოვანება, რომლითაც შეხვდენ ერთმანეთს წითელი მეზღვაურები და ფოთის მუშები. დიდხანს დარჩებათ მათ ხსოვნაში ეს ის ფიცი, რომელიც მისცეს ერთი მეორეს. მეზღვაურებმა და მუშებმა— არ დახარონ დაბლა წითელი დროშა.

პრ. მეგრელიშვილი.

ეკონომიური ცხოვრება

საქ. სახელმწიფო ვაჭრობის სააქციო ამხანაგობის მუშაობა

ზემოხსენებული ამხანაგობა დაარსდა მიმდინარე წლის თებერვალში, ხოლო აქტიურ სავაჭრო ოპერაციებს შეუდგა ამავე წლის აპრილს. ამხანაგობის ძირითადი კაპიტალი ერთი მილიონ ოქროს მანეთის რაოდენობით შესდგა საქ. სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭოს, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა და სასოფლო-სამეურნეო ბანკის მიერ შეტანილ პაიებისაგან. მუშაობის დაწყებისათვის ამხანაგობას გადაეცა ლიკვიდაციაქმნილ სახალხო ბანკის საქონლის განყოფილების და ყოფ. სასურსათო სახალხო კომისარიატის რესურსები. მიზნები და ამოცანები, რომელთა შესრულება დაევალა ამ ახლად დაარსებულ სახელმწიფო-სავაჭრო ორგანოს, შემდეგი იყო: 1) სახელმწიფო ორგანოთა სავაჭრო ოპერაციების ცენტრალიზაცია, 2) კერძო კაპიტალის განდევნა შინაურ და საგარეო ვაჭრობის სფეროდან გაერთიანებულ და გეგმაშეწონილ სახელმწიფო ვაჭრობის გაძლიერებით, 3) იაფი ნედლი მასალის მომარაგება საქართველოს მრეწველობისათვის 4) მოსახლეობის უზრუნველყოფა ფართო მოხმარების იაფ-ფასიან საგნებით და 5) სახელმწ. მრეწველობისა და სოფლის პროდუქციის ხელსაყრელი რეალიზაცია საბჭოთა კავშირის ბაზრებზე და საზღვარგარეთ.

ამხანაგობის ოპერაციები დღიდან აქტიურ მუშაობის დაწყებისა თანდათან ვითარდება ზემოაღნიშნულ მიმართულებით, რასაც მოწმობენ ციფრიული ცნობები ამხანაგობის მუშაობის შესახებ: ამხანაგობას გახსნილი აქვს თბილისში 7 მაღაზია (საგალანტერიო, თევზეულის, რკინეულის, სამანუფაქტურო და სხვა), რომლებშიც ოთხი თვის განმავლობაში გაიყიდა 678,974 მ. საქონელი, თვიურათ ეს თანხა შემდეგნაირათ ნაწილდება. აპრილში გასაღებული იყო 116,458 მან., მაისში 170,874 მ. ივნისში—180,960 მ. და ივლისში—210,682 მანეთის საქონელი.

ამხანაგობამ გახსნა მოსკოვში საკუთარი განყოფილება, რომლის საშუალებით სწარმოებს ადგილობრივ ნაწარმოებთა რეალიზაცია და რუსეთის პროდუქციის შეძენა. ივლისამდე მოსკოვში გაგზავნილ იქნა 300.000 მანეთის საქონელი (ღვინო, დაფნის ფურცელი, თამბაქოს ნაწარმოებნი და სხვა). აზერბეიჯანში ამხანაგობამ იკისრა ზოგიერთი სამრეწველო ხასიათის ოპერაციები: მან იჯარით აიღო თევზეული სარეწაოები, რომლებიდანაც ზაფხულის განმავლობაში მან გამოიღო 30 ათასი ცალი წითელი თევზი და ხიზილალა. აზერბეიჯანში გასატან მთავარ საგნებს წარმოადგენენ ჩაი და ღვინო (გატანილია 70 ათასი მანეთის). საქართველოს პროვინციაში ამხანაგობას გახსნილი აქვს ჯერ-ჯერობით ორი ფილიალი ქუთაისსა და ანაგაში (სიღნ. მაზრა). სწარმოებს მუშაობა პროვინციალ ფილიალების გამრავლებისათვის, პირველათ ყოვლისა მევენახეობის რაიონებში, სადაც ამხანაგობის განყოფილებები ასრულებენ განმანაწილებელ და, მეორეს მხრით, მომმარაგებელ პუნქტების დანიშნულებას. რუსეთიდან საქონლის შემოზიდვის გაფართოებას მოწმობენ შემდეგი ციფრები: 1 ივლისისათვის შემოტანილი იყო 545,495 მან. საქონელი, 1 აგვისტოსათვის—936,198 მან. და 1 სექტემბრისათვის—1.159,952 მანეთის. იზრდება აგრეთვე ამხანაგობის უნარიანობა კრედიტის მიღების დარგში. ასე, მაგალითად, 1 ივლისისათვის ამხანაგობა სარგებლობდა უცხო ორგანიზაციების მხრით კრედიტით (საქონლისა და თამასუქების სახით) სიდიდე რომლისა შეადგენდა ძირითადი კაპიტალის 72 პ. 1 აგვისტოსათვის ეს თანხა გაიზარდა ხოლო 132 პ. ხოლო უკვე აგვ.—185 პ. ბალანსის ზრდა შემდეგია: 1 ივლისისათვის—1.320,366 მ. 64 კ., 1 აგვისტოსათვის—1.635,602 მ. 58 კ. და 1 სექტ.—2.006,234 მ. 46 კ.

წყალთა სამმართველოს მუშაობა

ახლად გაყვანილი არხები.

1923—24 სამეურნეო წლის განმავლობაში ამიერ-კავკასიის წყალთა სამმართველოს სამელიორაციო მუშაობის მთავარ საგანს წარმოადგენდა ახალ არხების გაყვანა, ძველი არხების რემონტი, წყალსადენების აშენება და შეკეთება, მდინარეთა ნაპირების გამაგრება. წყალდიდობისაგან ნათეს-ნახნავების დასაცავათ და სხვა. უკვე შესრულებულ მუშაობიდან განსაკუთრებით შესანიშნავია შემდეგი ახალი სარწყავი არხები: 1) მაშველის არხი 16 ვერსის სიგრძით,—სარწყავი სივრცე შეადგენს 12,000 დესეტინას, 2) კულაშ-ლანირის არხი 25 ვერ. სიგრძით და 2,500 დესეტინა მოსარწყავ მიწით, 3) ლამი-მისაქციელის არხი: სიგრძე—16 ვ., მორწყვის სივრცე—3,000 დეს., 4) რიონის საბჭოთა არხი: სიგრძე 17 ვერ., სივრცე—9,000 დეს., 5) მათხოჯის არხი: 11 ვერ., მორწყვის სივრცე—2,000 დეს., 6) დოესისა და გრაკალის არხი: სიგრძე—18 ვერ., მორწყვის სივრცე—2,000 დეს., 7) ხოხოულის-პალების არხი: სიგრძე 16 ვ., მორწყვის სივრცე—2,500 დეს., 8) როზენფელდის არხი: სიგრძე 5 ვერ., სივრცე 500 დეს. სულ ახლათ გაყვანილია 8 არხი—126 ვერ. სიგრძით, რომლებიც რწყავენ თავის გარშემო 33,500 დესეტინა მიწას.

ტირიფონის არხი.

დაწყებულ და ჯერ დაუმთავრებელ მუშაობაში განსაკუთრებით თვალსაჩინოა დიდი არხის გაყვანა ე. წ. ტირიფონის ველზე (გორის მაზრაში). არხი გაყვანილი იქნება ცხინვალსა და ტირიფონის ველს შუა. მოსარწყავ ადგილის სივრცე შეადგენს დაახლოებით 30,000 დესეტინა მიწას. მდინარე მეჯუდასა და პატარა ლიახვიდან გამოყვანილი წყალი მორწყავს მრავალ სოფელს: ტყვიავს, თირძნისს, კორდს, მეჯვრის-ხევს, კარბსა და სხვას. არხის გაყვანაზე მუშაობს 500 კაცი ადგილობრივ მცხოვრებლებიდან ინჟ. ლიაძის ხელმძღვანელობით. 6 ენკენისთვეს ტირიფონის ველზე გაგზავნილ იქნა მუშაობის დასათვალიერებლათ ინჟ. ყამარაული. არხის სამუშაო ადგილას გაიმართა მრავალრიცხოვანი მიტინგი, რომელზედაც განმარტებული იყო არხის მნიშვნელობა.

სხვა არხები, რომელთა გაყვანა ჯერ არ დამთავრებულა.

სწარმოებს მუშაობა აგრეთვე სკრაქარელის, დიმი-რაკითისა და მაჯიდის არხების გასაყვანად. მათი საერთო სიგრძე შეადგენს 46 ვერსს მორწყვის სივრცე—6,400 დესეტინას. 1923—24 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში ხსენებულ არხების ნავარაუდევი ღირებულება უდრის 945,797 მ.

მდინარეთა ნაპირების გამაგრება.

წყალდიდობისაგან მოსალოდნელ ზიანის ასაცილებლათ გამაგრებულია მდ. ინგურის მარცხენა ნაპირი. აშენებულია ქვისა და მწკნელისაგან ნახევარ საჟენის სიმაღლის კედელი 120 პოგ. საჟენის რაოდენობით. გაწმენდილია მდინარის კალაპოტი სხვადასხვა ადგილას. დაცულია აგრეთვე ცხენის-წყლის წყალდიდობისაგან სოფ. გაზათი. ამ მიზნით აშენებულია კედელი (დამბა) 506 კუბ. საჟენისა.

მუშათა ცხოვრება



ამხ. პავლე გიორგისძე ბრეგვაძე

(კომუნალურ წყალსადენის წითელი დირექტორი).

კომუნალური წყალსადენი, ერთი ღირსშესანიშნავი დაწესებულება-საწარმოო დარგთაგანია თბილისის ქალაქის სამეურნეო ცხოვრებაში, ამიტომ აღსანიშნავია ამ განყოფილების ამხ. პავლე გიორგისძის ბრეგვაძის წითელ დირექტორად დანიშვნა.

ამხ. პავლე ბრეგვაძე არის ულარიბესი გლეხის შვილი, რომელსაც არ ჰქონდა საშუალება მიეღო კლასიკური ცოდნა. ამხ. პავლე 1903 წელს შევიდა ბათომის ტელეფონის ქსელის მუშად.

პოლიტიკურ ნიადაგზე 1907 წელს იგი დაატუსაღეს და 1908 წელს ადმინისტრატიულ წესით გადაასახლეს ვიატკის გუბერნიაში. სამი წლის ცივ და აუტანელ მდგომარეობაში ყოფნის შემდეგ მისცეს ნება მას რუსეთის პატარა ქალაქებში ცხოვრების დიდ ქალაქებში და კავკასიაში ცხოვრების ნება არ ჰქონდა, როგორც პოლიტიკურად არა საიმედოს. 1911 წლიდან ამხ. პავლე თავდადებულად მუშაობდა პარტიულ ორგანიზაციებში, არალეგალურად ოქტომბრის რევოლიუციამდე და ლეგალურად ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ. მას პირადათ მიუღია მონაწილეობა რუსეთის კონტრ-რევოლიუციონერების საწინააღმდეგო ბრძოლებში, საიდანაც მუდამ გამარჯვებული გამოდიოდა.

1921 წლიდან ე. ი. საქართველოს გასაბჭოებიდან ამხ. ბრეგვაძე საქართველოს კომპარტიის ცეკას განკარგულებით მუშაობდა პირველ ხანებში სამხედრო-საზღვაო კომისარიატში. შემდეგ „ემსის" ელსადგურის უფროსის თანამდებობაზე, ბოლოს გადაყვანილ იქნა წყალსადენის დირექტორის მოადგილეთ; ხოლო 20 სექტემბერს ა/წ. იგი დანიშნულ იქნა წყალსადენის წითელ დირექტორად.

ვუსურვებთ ამხ. ბრეგვაძეს ენერგია-სიმხნევეს და ბეჯითობას, რომ მას შესძლებოდეს ნაყოფიერად მუშაობა ამ ფრიად საპასუხისმგებლო დარგში, რომ მუშა-მოსამსახურენი მადლიერი ჰყოლებოდეს და წარმოება-წყალსადენის საქმეც წინ წასულიყოს.

მუშკორი ა. გ—ძე.

კანტორის უფროსიც ასეთი უნდა.

ბედნიერია ის მუშა-მოსამსახურე, რომელსაც ყავს უფროსი გულით და სულით მისი მეგობარი. ამნაირი ადამიანი მუდამ შევა მუშა-მოსამსახურის მდგომარეობაში და მიხვდება ყველა მათი გულისტკივილს. ასეთია თბილისის მთავარი ფოსტის კანტორის უფროსი—ოსებრუკი და მისი თანაშემწე ამხ. ვ. ხოშტარია. ხშირად იყო ისეთი შემთხვევა, რომ ბირჟიდან გამოგზავნილ უმუშევრებს უკან არ აგზავნიდნენ და დროებითი მაინც ამუშავებდნენ. ერთი სიტყვით მუშა-მოსამსახურეს ეპყრობა სიყვარულით და ყურადღებით. ყველას თავის დროზე აკმაყოფილებს შეღავათებით და სხვა დახმარებით. უფრო მეტად აქცევს ყურადღებას პოსტალიონებს და დარაჯებს. მასში არსებობს მუშისადმი სიყვარული და ამისთვის უკვე დიდი ჯილდოა, რომ მუშები მას მადლობას უცხადებენ.

მუშ. უხილავი.

რატომ აგვიანებენ პასუხს ტელეფონისტი ქალები

ზოგიერთი ამხანაგები ჯერ არ არიან გაცნობილნი ტელეფონზე მომუშავე ქალების მუშაობას და თუ ისინი რამდენიმე წამს ვერ უპასუხებენ მათ, მოთმინებიდან გამოდიან და მიმართავენ ხოლმე ხშირად ადმინისტრაციას, რათა იგინი სასტიკა დასჯილ იქნენ, ამიტომ ჩვენ უნდა გვქონდეს ნამდვილი წარმოდგენა იმის, თუ რა პირობებში მათ უხდებათ მუშაობა 145—150 აბონენტთან. 9—3 საათამდე, როდესაც გაცხოველებული მუშაობა, არის დაინახავთ შემდეგ სურათს: ერთდაიმავე დროს ე. ი. ერთ წამში ეძახიან სადგურს არა ნაკლებ 10—15 აბონენტისა საშუალოდ იმ დროს, როდესაც თითო აბონენტის შეერთებას ტელეფონისტი ქალი უნდება არანაკლები 11 წამისა, ცხადია 10—15 აბონენტის შეერთებას ის რამდენად მეტს მოუნდება.

სამუშაო ადგილები სულ კომუტატორში 13-ია. თითო მორიგეობაზე მუშაობენ 14, ე. ი. 13 კომუტატორთან და ერთი მეთვალყურე. მუშაობა ოთხმაგ მორიგიანია, თითო ტელეფონისტ ქალს უხდება მუშაობა დღე და ღამე 6 საათი, ხოლო მუშკომის მიერ ადგილობრივ ადმინისტრაციასთან მორიგეობა ისეა დანაწილებული, რომ დღისით, როდესაც დიდი მუშაობაა, ყოველ ნახევარ საათში მორიგეს უხდება დასვენება, არაა ეს დასვენება და ვერც ერთი ადამიანი იქ მუშაობას ვერ შესძლებდა, ხოლო კი ღამე, როდესაც მუშაობა შენელებულია, სამორიგეოთ რჩება მხოლოდ ნახევარი ე. ი. 7 მორიგე.

აღსანიშნავია, რომ 10-დან 3-მდე მუშაობა იღებს არა ადამიანის დახმარებითი მუშაობის სახეს, არამედ ავტომატიურს და რომ ამ მუშაობის შემდეგ დასასვენებლად მიმავალ ტელეფონისტ ქალს შეხედოთ, ის გაბრუებულია, და რომ უთხრათ გამარჯვება, ის „ცენტრალნაიას" გიპასუხებთ. ასეთი ძნელია აქ მუშაობა.

მუშკორი ნაპერწკალი.

რკინისგზელებში

ზარმაცები არ უნდა იყვნენ საწარმოო დარგებში.

რომ შრომის ნაყოფიერების გადიდება ჩვენი ეკონომიურად პირობების გამაუმჯობესებელი საშუალებაა,—ცხადია; თუ შრომით ნაყოფიერებას ვერ შექმნი, სადაც არ უნდა იყოს ეს, საწარმოვო ქარხანაში, ან შენს საკუთარ სახლში, ვერაფერს ვერ მიიღებ. მაგრამ ასეთი ანბანური ჭეშმარიტება ჯერ ჩვენდა სამწუხაროდ ვერ შეუგნიათ ზოგიერთ ჩვენთაგანს, დანგის მუშებსაც. მოვიხსენიებ ორ იმ ძველ ბიუროკრატიული ჩვეულებებით აღზრდილ თეთრ-ხელებიანებს, რომლებიც შავი ყორნებივით არიან გაფუხუკულები საპასუხისმგებლო ადგილებზე საწარმოვო დარგებში.

რკინის გზის საწარმოვო კონფერენციამ ნათლად გამოარკვია, თუ რას მივაღწევთ წარმოებაში მუშების შიგ ჩაბმით. გზისუფროსმა მრავალ მუშა-ორატორების გამოსვლის შემდეგ თითქმის საპასუხო სიტყვა ვერც კი მოახერხა. აურაცხელი დეფექტებზე მითითების შემდეგ, თავისი სიტყვა მან ასე დაამთავრა: „არაფრისაგან უნდა შევქმნათ რამე და თუ ყველაფერი გვექნა, მაშინ ხომ ყველანი გააკეთებენო". ბოლოს დაუმატა: „მე არ ვიცოდი, თუ ასეთი მწვავე ხასიათს მიიღებდა კონფერენცია, თორემ ყველა დარგის უფროსებს მოვიყვანდი აქაო. ეს პირველი ცდა იყოს და მალე მეორე კონფერენციას მოვიწვევთო". აქედან მე, როგორც დელეგატმა, ასეთი შთაბეჭდილება მივიღე, რომ როცა გზის უფროსთან თვითეული განყოფილების უფროსი მოხსენებას აკეთებს, ყველაფერი რიგზედ არის, მაგრამ კონფერენციაზე მუშებმა დაამტკიცეს, რომ კარგად არსად არ ყოფილა საქმე და ყველაზე უფრო ცუდად სამასალო განყოფილებას ჰქონია დაყენებული საქმე, რაც გამოიხატება მასალის მიუწოდებლობაში, მის უწესრიგოდ მიღებაში, მრავალი უვარგისი მასალის შეძენაში, 6 თვის ანგარიშები მას არ შეუდგენია და სხვ.

რა გასაკვირია, რომ ჩვენ შორისაც იყოს ზოგიერთი ზარმაცი მუშები, რომლებიც ზოგი მხოლოდ რკინისგზის პრივილეგიებისთვის მსახურობს, რომ უფასო სამგზავრო ბილეთი აიღოს და სავაჭრო მიზნისთვის გამოიყენოს იგი, ხშირად დღეებს აცდენს და სხვა ამისთანა მიზეზი ბევრია. ამასაც ბოლო უნდა მოეღოს. ასეთ ელემენტებისაგან უნდა გაიწმინდოს დაწესებულებები, თორემ შრომის ნაყოფიერებას ასეთი მიზეზები ძალიან აფერხებს. დადგა დრო, როცა ჩვენ უნდა გავწმინდოთ ჩვენი რიგები და ხელი შეუწყოთ საერთო საქმეს შრომის განაყოფიერებით, ეკონომიური პირობების გაუმჯობესებით. ყველა ამ მიზეზების მოსპობის შემდეგ ხელფასის გადიდება თავის თავად მოხდება, რაც უდაო ჭეშმარიტებაა.

მუშა ვ. ნ—ბ.

[illegible]

(შრომის ინსპექტორის და ტელეგრაფის დარგის ადმინისტრაციის საყურადღებოდ).

მიმდინარე წლის მაისის პირველი ხუთი დღე გამოცხადებული იყო დასასვენებელ დღეებად. მთელი ამ ხუთი დღის განმავლობაში არ უმუშავნია როგორც მთავარ სახელოსნოს, დეპოს და ლიანდაგის მუშებს, ისე კანტორის მოხელეებს და ყველა კანცელარიებში მომუშავეთ. ამით მათ არ მოკლებია თვის ჯამაგირი. მოძრაობის დარგის აგენტებს და ტელეგრაფისტებს ჰქონდათ რა უშუალო კავშირი მატარებელთა მიმოსვლასთან, მუშაობა არ შეუწყვეტიათ და 5 დღე მუშაობდნენ ისე, როგორც ჩვეულებრივ საქმე-დღეებს.

მოძრაობის აგენტებმა მაგ. განმკარგულებელ ნაწილის და განყოფილებათა „დისპეტჩერებმა" აღნიშნულ დღეებს მუშაობის გამო მიიღეს ზედმეტი გასამრჯელო, რის გამო მათი სამუშაო დღის რაოდენობა და ხანგრძლივობა არ დარღვეულა, ხოლო ტელეგრაფისტებს კი დღემდის არავითარი გასამრჯელო არ მიუღიათ. ამაში დამნაშავეა ტელეგრაფის ადმინისტრაცია, რომელიც ყურადღების ნაცვლად გვირღვევს შრომის კანონით მონიჭებულ სამუშაო დღის ხანგრძლივობას.

შრომის ინსპექტორს მოაგვარეთ ეს საკითხი კანონიერად.

მუშკორი კოდალი.

გამოგზავნილი წერილებიდან

ეს ასე არ უნდა ხდებოდეს.

საქონლის სადგურის (ყოფ. ცენტროტრამოტის) მუშებს ჯამაგირის მიღების დროს ხშირად გვაკლდება ფული. ბევრჯერ ზოგიერთი მუშები სიაში არ არიან შეტანილი. მუშები ხშირად „ტაბელშჩიკებს" და მოლარეს უსაყვედურებენ და ნამდვილად კი აქ დამნაშავეა მხოლოდ ბუხჰალტერია.

დროა ეს დაუშვებელი მოვლენა მოსპობილი იქნას.

მუშკორი დ—ი.

დაჯარიმება შრომის კანონების დარღვევისათვის.

— მოქ. კელჩევსკი. (რკ. გზ. ცეცხლის მქრობელი რაზმის უფროსი) იგი იგივე ხასიათის დანაშაულობისათვის დაჯარიმებულია 5 ჩერვონეცით.

— **დაჯარიმება შრომის ბირჟის გარეშე თანამშრომელის მიღებისათვის.** ხე-ტყის დამზადების განყოფილების ბუხჰალტერმა სარქისოვმა მოიწვია შრომის ბირჟის გარეშე მოანგარიშენი, რათა მას შეესრულებინა იმავე განყოფილებიდან ბითუმად აღებული სამუშაო. შრომის კანონთა კოდექსის დარღვევისათვის იგი სასამართლომ დააჯარიმა 200 მანეთით.

„წარმოკავშირი"-ს მუშაობა

ბოლო დროს საქართველოს ეკონომიურ ცხოვრებას შესამჩნევი გაუმჯობესება დაეტყო. ამაში დიდი დამსახურება მიუძღვის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ნორჩ კოოპერაციას, რომელიც არ ზოგავდა თავის ენერგიას და დიდ ყურადღებას აქცევდა ჩვენ გლეხ-კაცობის მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ამ ჟამად არსებობს 100 სასოფ.-სამეურნეო ამხანაგობა (მეღვინეობის, მეცხვარეობის, თამბაქოსი, ბამბისა, მეხილეობისა და სხვა.) ამ ამხანაგობებში გაერთიანებულია 28.000 გლეხი-მეურნე. წლინახევრის წინეთ კი არსებობდა მხოლოდ ხუთი ამხანაგობა 3.000 წევრით. ეხლა სამეურნეო კოოპერაცია აკავშირებს საშუალოთ გლეხობის 15 პროცენტს, ზოგ ადგილას კი 30 პროცენტამდისაც კი.

მიმდინარე სამეურნეო წლის განმავლობაში „წარმოკავშირში" შემავალ ორგანიზაციების მიერ დამზადებული და გასაღებულია საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე: 250.000 ვ ღვინო, 5.000 ვ. სპირტი. 35.000 ფ. მატყლი. 100.000 ფ. ხილი, 1 მილიონი კვერცხი, 11.000 ფ. თამბაქო და სხვა.

ეხლა გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს შემდეგი საგნების დასამზადებლად: 100.000 ფ. ხორბალი მოუსავლიან ადგილებისათვის, ხილი, შემოდგომის მატყლი (30.000 ფუთი) თხილი, კვერცხი (განზრახვაა—ყოველთვიურად გაიგზავნოს 6 ვაგონი), ღვინო, თამბაქო და სხვა.

„წარმოკავშირმა" მეთამბაქოებს მისცა ავანსად 20.000 მანეთი. თვით „წარმოკავშირის" პლანტაციებზე დათესილია 2.000 დეს. ბამბა.

მატყლის დამზადების საქმეში კოოპერატიულად შეკავშირებულია საქართველოს მთელი გლეხობა. კვერცხის დამზადებაში 60 პროცენტით, ღვინისაში 30 პროც.

„წარმოკავშირის" მიერ თბილისში მოწყობილია გამსაღებელი პუნქტი. იმითი სარგებლობენ როგორც პირველ საფეხ. კოოპერატივები, აგრეთვე თბილისში ჩამოსული კერძო გლეხებიც, ამ პუნქტზე საღდება სასოფ.-სამეურნეო ნაწარმოები. პუნქტის გახსნამ დიდი ჩოჩქოლი გამოიწვია კერძო ვაჭრებს შორის, რომელთა შორის ბევრმა უკვე შესწყვიტა ბითუმათ ვაჭრობა.

აგრეთვე კერძო შემსყიდველებთან ბრძოლის საწარმოებლათ „წარმოკავშირმა" გახსნა თავისი განყოფილებანი საქართველოს ყველა მნიშვნელოვან რაიონებში. ეს განყოფილებანი აწარმოებენ საგნების შესყიდვას კოოპერაციის გარეშე დარჩენილ გლეხებიდანაც.

„წარმოკავშირი" აწვდის ჩვენს მეურნეობას სხვადასხვა საჭირო მასალებსაც.

მასთან ერთად ხორციელდება ბევრი აგრიკულტურული ზომები სასოფლო მეურნეობის სხვადასხვა დარგის ასაღორძინებლად.

ამას წინეთ გაშენებულ ამერიკულ ვაზს ეხლა უკვე უჭირავს 20 დესეტინა.

არსებობს ექვსი სამელიორაციო ამხანაგობა, რომელთაც გაჰყავთ ახალი არხები.

ამ მოკლე დროში „წარმოკავშირი" აწყობს ცენტრალურ საცდელ ბაღს, რომელიც საშუალებას მისცემს გლეხობას გააუმჯობესოს ხილეულობის ხარისხი.

რკინის გზებზე

— **დეპოს დელეგატები.** თბ. დეპოს მუშების საერთო კრებამ მე-5 ყრილობაზე გასაგზავნად აირჩია 8 დელეგატი.

— **შეშის გადაზიდვა მუშა-რკინისგზელებისათვის.** თბ. საუბნო პროფკავშირის საორგანიზაციო განყოფილებამ „თვითმშრომელთა" კავშირის თანხმობით გამოიმუშავა შეშის გადაზიდვის ფასი რკინისგზელებისთვის. ფასები ზევრად დაკლებულია.

— **მთავარ სახელოსნოებიდან.** ა/კ რკ. გზელთა მე-5—ყრილობაზე მთავარ სახელოსნოების მუშებისაგან არჩეულია 13 დელეგატი.

— **კლუბის მოწყობა.** თბ. კვანძის საექიმო დარგის მუშაკთა საუბნო კომიტეტმა დაამთავრა კლუბის მოწყობა და ახლო ხანში მოხდება მისი საზეიმო გახსნა.

— **ერთი სტიპენდიანტი.** თბ. კვანძის საექიმო დარგის მუშაკთა საუბნო კომიტეტმა გაგზავნა მოსკოვში საექიმო კურსებზე ერთი ექიმის თანაშემწე—სტიპენდიანტად.

— **ხაშურიდან.** მე-5 ყრილობაზე დელეგატებათ არჩეულია 6 კაცი, სალ. ხაშურის მუშა-მოსამსახურეებისაგან.

— **თავისუფალ წევრებად.** თბ. კვანძის საექიმო დარგის მუშაკთაგან საჰაერო ფლოტის, „წითელ ჯვრის", ქიმიისა და რემედასის საზოგადოებათა წევრებათ ჩარიცხულია 230 კაცი.

— **სანატორიუმებისა და დასასვენებელ სახლების დახურვა.** ა/კ რკ. გზელთა პროფკავშირისა და ა/კ დამზღ. სალაროს დადგენილებით 1—ოქტომბრიდან დახურულია ცემის, აბასთუმნის, კარაკლისისა და შოველიანის სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები.

— **მოითხოვენ კბილის ექიმს.** ბორჯომ-ბაკურიანის რკ. გზ. შტოს მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ სთხოვა ხაშურის საუბნო პროფკავშირს გაგზავნოს აღნიშნულ შტოს მუშების დასახმარებლად ერთი კბილის ექიმი.

— **ლოთობის წინააღმდეგ.** ბათომის კვანძის მუშა-მოსამსახურეთა კრებამ დაადგინა სასტიკი ბრძოლა გამოუცხადოს ღვინითა და არყით ვაჭრობას რკ. გზის ფარგლებში.

— **საექიმო პუნქტი.** სად. ტყიბულის მუშა-მოსამსახურეთა კრებამ დაადგინა იშუამდგომლოს სამტრედიის საუბნო პროფკავშირის საშუალებით, ვისთანაც ჯერ არს, რათა სად. საწირეში დაარსებულ იქნას საექიმო პუნქტი.

მეცნიერება და ტექნიკა

მსოფლიოში უდიდესი ჰიდრო-ელექტრო-სადგური

ამ ჟამად ამერიკაში ლაპარაკობენ მთელი მექანიკური ენერგიის წარმოების და განაწილების გაერთიანებაზე.

ეს გეგმა ნაწილობრივად უკვე განხორციელებულია. წყნარი ოკეანეს ნაპირებზე მდებარე შტატებში მოწყობილია განუწყვეტელ ენერგიის გადამცემი ქსელი 1,800 ვერსის მანძილზე. ახლა განზრახულია ასეთივე ქსელის მოწყობა 2,400 ვერსის მანძილზე—კანადიდან მექსიკამდი. ახალი ინგლისის რაიონში და სამხრეთის შტატების ნაწილში უკვე არის ენერგიის გადამცემი ასეთი ქსელი, რომლის გაერთიანება ერთ საერთო ქსელში ადვილი საქმეა. ამ რამდენიმე ხნის წინათ პენსილვანიის შტატში 9 საზოგადოებამ მოაწყო ენერგიის გადამცემი ერთი საერთო ქსელი.

კონგრესმა შეერთებული შტატების ელექტროფიკაციისათვის დანიშნა სპეციალური კომისია, რომელმაც სულ მოკლე ხნის განმავლობაში გასცა ნებართვები 7 ნახევარი მილიონი ცხენის ძალის მქონე ელექტრო-სადგურების მოწყობაზე.

შეერთებული შტატების მთავრობას განზრახული აქვს მოაწყოს ელექტროფიკაციის უდიდესი ცენტრი მდინარე ტენესიზე (შტატი ალაბამა) ელექტროფიკაციის ამ რაიონში შედის ცხრა შტატი.



„ვილსონის ჯებირი" მდ. ტენესიზე.

ომის დროს მდინარე ტენესიზე აშენებული იყო დიდი ქარხნები. მარტო ერთ ქარხანაში მუშაობდა 20,000 მუშა. ამ რაიონში დაიწყეს მსოფლიოში უდიდესი ჰიდრო-ელექტრო-სადგურის აგება. დაიწყეს უდიდესი ჯებირის აშენება. ამ ჯებირს უწოდეს „ვილსონის ჯებირი".

მისი სიგრძე იქნება 5,000 ფუტი (ერთი ვერსი და 214 საჟენი). სადგური მისცემს 600,000 ცხენის ძალის ენერგიას. ჯებირის აშენების შემდეგ შეიქმნება ხელოვნური გზა სიგრძით 24 ვერსი, სიღრმით 14 საჟენი. განზრახულია აშენება კიდევ მეორე ჯებირის და მოწყობა კიდევ მეორე გზის.

სადგურის მოწყობის შემდეგ ელექტრონის ენერგიას მიაწოდებენ 750 ვერსის მანძილზე.

ამ ჟამად ვილსონის დამბის ასაშენებლათ მუშაობს 4,600 კაცი ინჟინერ სპაულდინგის მეთაურობით.

გაზეთ „ნეიშენ"-ის ცნობით სადგურის აგება დაჯდება 100 მილიონი მანეთი.

სადგურის აგების კონცესია მიეცა ცნობილ ჰენრი ფორდს.

ამერიკელი გაზეთების ცნობით ფორდის მიერ აღებული კონცესია იმდენათ დიდია და იმდენათ შემოსავლიანია, რომ სტინესის მთელი წარმოება—მასთან შედარებით უბრალო სათამაშოა.

ქრონიკა

კლარა ცეტკინი ზემო-ავჭალაში

გუშინ დღის 3 საათზე ამხ. კლარა ცეტკინმა დაათვალიერა ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრო სადგური და სადგურის ყველა შენობები, რის შემდეგ სტუმართა წიგნში გერმანულ ენაზე ჩასწერა თავისი სახელი და გვარი.

კლარა ცეტკინის გამგზავრება

—გუშინ საღამოს კლარა ცეტკინი გაემგზავრა თბილისიდან ჭიათურაში.

— **სამხედრო კოოპერაცია.** ამ.-კავკასიის კოოპერ. კავშირმა დაადგინა სამხედრო კოოპერაცია მთელი თავისი მომხმარებელი აპარატით არ იქნას გაუქმებული.

— **მეეტლეების აღრიცხვა.** თბ. თვითმშრომელთა საზოგადოება ამ დღეებში დაიწყებს მეეტლეების აღრიცხვაზე აყვანას.

— **პროფესიონალური სკოლები.** თბილისში ამ ჟამად არსებობს 4 ხელსაქმის პროფესიონალური სკოლა—ხალათების საქსოვი, სართავი, არშიების საქსოვი და სამკერვალო განყოფილებებით.

— **კლუბის შეკეთება.** ხელოსანთა კლუბის გამგეობამ გადასწყვიტა შეაკეთოს კლუბის საზამთრო შენობა. შეკეთება დაჯდება 4,700 მან.

— **ძაღლის ტყავები.** განზრახულია ქ. სასაკლაოსთან მოეწყოს ძაღლის ტყავებისაგან ზამშის დამამზადებელი ქარხანა.

— **ქ. სასაკლაოს** კულტკომისიამ გადასწყვიტა მოახდინოს მუშების აღრიცხვა წერა-კითხვის მცოდნე და არა მცოდნეთა გამოსარკვევათ.

— **წყალდიდობისაგან დასაცავათ.** ავჭალაში წყალდიდობისაგან დასაცავათ გაკეთებული იქნა მტკვარის გასწვრივ 100 კობიკურ საჟენზე დამბა.

— **სტიპენდიების გაუქმება.** განათლების კომისარიატის დადგენილებით გაუქმებულია მუშფაკების გარდა, ყველა სახელმწიფო სტიპენდიები.

— **ტალახით მკურნალობა.** ჯანსახკომს განზრახვა აქვს თბილისში სამკურნალო ტალახით საავადმყოფოების დაარსების შესახებ.

— **კონსერვების ქარხანა.** ქ. კონსერვების ქარხანა მოსკოვის ბაზრისათვის შეუდგა კომშის კონსერვების დამზადებას.

— **ახალი წიგნი.** ამ დღეებში გამოვა პ. ბაჩიძის წიგნი: „საუბარი წითელ-არმიელებთან“.

— **ოქტომბრის რევოლიუციის** სახელობის ქარხნის შეკეთება დასრულდება ახლო ხანში.

— **მატყლის დამზადება.** „მწყემსის“ ქარხანამ დაამზადა 11500 ფუთი მატყლი.

— **სოხუმის ქართული** ცხრა-წლედი სკოლისათვის საჭიროა მასწავლებლები.

— **მესამე კომინტერნის** სახელობის ბამბის საქსოვი ქარხანა შეკეთების შემდეგ უკვე ამუშავდა.

— **ძეგვის კირის ქარხანა.** შრ. სახ. კომისარიატმა შუამდგომლობა აღძრა საქ. მეურ. უმაღ. საბჭოს წინაშე საამშენებლო კოოპერატივს „ვაკეს“ გადაეცეს ძეგვის კირის ქარხანა.

— **სპეც-ტანისამოსი.** სად. ტყიბულის მუშა-მოსამსახურეთა კრებამ მოსთხოვა სამტ. საუბნო პროფკავშირს იზრუნოს სპეც-ტანისამოსით მუშების დაკმაყოფილებისათვის.

— **შრომის სახ. კომისარიატის,** დადგენილებით ის ახალგაზრდები, რომელთაც შეუსრულდათ წლოვანება, და გადაყვანილი არიან ახალგაზრდათა სექციიდან სხვა სექციაში, რჩებიან შრ. ბირჟის აღრიცხვაზე.

— **შრომის ბირჟის აღრიცხვაზე.** დარჩებიან 60 წლის მოხუცებულები, თუ წარმოადგენენ შრომის უუნარიანობის მოწმობებს საექიმო-საკონტროლო კომისიიდან.

— **სვანეთიდან დაბრუნდა** საქირურგიო-საგინეკოლოგიო რაზმი, რომელიც სვანეთში მუშაობდა ორი თვის განმავლობაში.

შემთხვევები.

— **კაცის გადაჭრა** გუშინ, დღით ხარაგოულში, ბათომიდან მომავალ მატარებელმა გასრისა ვაგონის მზეთავი პეტრე ადამია.

— **გაუფრთხილებლობის გამო.** 2 ოქტ. 4 წლის ბავშმა საგარეჯოს ბათომის ქ. № 6, თამაშობის დროს ხელში გაუსკდა პატრონა და მძიმეთ დაშავდა.

— **შეპყრობა.** 3 ოქტ. შეიპყრეს გოგიბაშვილი, რომელსაც ბრალდება კირილ პანაიოტის მოკვლა.

ხელოვნება

ავლაბრის მუშათა კლუბში

2 ოქტომბერს, ავლაბრის მუშათა კლუბში ქართულ სცენის მოყვარეთა მიერ ამხ. ფერიაშვილის ხელმძღვანელობით წარმოდგენილი იქნა ქართულ ენაზე პიესა „ბრძოლა არსებობისთვის“. პიესა გადმოღებულია ბატონ-ყმური ყოფა-ცხოვრებიდან. მონაწილეობას იღებდნენ: მარგო ფერიაშვილი, გრატიაშვილი, პაპინაშვილი, დარისპანიშვილი, ჯანჯულაზოვი, ცატუროვი, ქუთუნაშვილი, ბაიდაშვილი და სხვები. წარმოდგენა მწყობრად ჩატარდა. საზოგადოებაც საკმაოდ დაესწრო.

ი. ჯ.

— **თვითმშრომელთა საზოგადოებამ** დაარსა სარწმუნოების საწინააღმდეგო წრე, პოლიტწრე, ლიტერატურული წრე და სამი დრამატიული წრე.

— **გალაკტიონ ტაბიძის ახალი წიგნი.** იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა გალაკტიონ ტაბიძის ახალი პოემა „Zონ რიდი“.

პროვინციის ცხოვრება

როგორ გამოეხმაურენ ფოთის მუშა-მოსამსახურეები და ყოფილი მენშევიკები მენშევიკურ ავანტიურას

ფოთში მენშევიკებმა ვერ მოახერხეს გამოსვლების მოწყობა, რადგანაც ორგანიზაცია ფხიზლად იდგა თავის სადარაჯოზე. ფოთის კომუნარებმა არამც თუ დაიცვეს ფოთის რაიონი მენშევიკების ავანტიურიდან, არამედ გაგზავნეს თავისი რაზმები მეზობელ მაზრებში და გაანთავისუფლეს ბევრი რაიონები. მეტად საინტერესოა, თუ როგორ შეხვდენ მენშევიკების ავანტიურას ფოთის მუშა-მოსამსახურეები და ყოფილი მენშევიკები.

14 სექტემბერს შეიკრიბა ადგილობრივ კლუბში ფოთის მშრომელი ინტელიგენცია, სადაც გაკეთებული იქნა მოხსენება მენშევიკების ავანტიურის შესახებ და ერთხმად მიიღეს რეზოლიუცია, რომელშიც აღნიშნულია, რომ საბჭოთა ხელისუფლება მუშაობს მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ და ყოველივე გამოსვლები მის წინააღმდეგ ნიშნავს კონტრ-რევოლიუციონური საქმის კეთებას. მშრომელმა ინტელიგენციამ ფიცი დასდო ემსახუროს საბჭოთა ხელისუფლებას და ზიზღს უცხადებს მენშევიკებს და მათ მიერ მოწყობილ ავანტიურას.

25 სექტემბერს, როდესაც იყო პარტკომის პლენუმის სხდომა, საღამო ექვს საათზე მწყობრად მოვიდა პარტკომთან ფოთის მასწავლებლობა თავის კავშირის დროშით. გამოგზავნეს დელეგაცია, რომელმაც სთხოვა მოისმინათ მასწავლებლების ხმა.

პლენუმი სრული შემადგენლობით მივიდა მათთან. გამოვიდა მასწავლებელი ბ. ლაპარტყავა, რომელმაც ვრცელ სიტყვაში დაახასიათა საბჭოთა ხელისუფლების და კომუნისტური პარტიის მუშაობა კულტურულ ფრონტზე. ვერავითარი მთავრობა ამდენს ვერ გააკეთებდა და ვერც გააკეთებს კულტურულ ფრონტზე, რამდენიც გააკეთა საბჭოთა ხელისუფლებამ. მენშევიკებს სურთ ბნელეთის უფსკრულში ჩაყარონ ქართველი ხალხიო, განაცხადა მან. ამხ. ლაპარტყავამ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა მენშევიკების „საქმიანობა“ და უწოდა მას ბანდიტიზმი და სთქვა, რომ მასწავლებლობა ზიზღს უცხადებს მათ.

საპასუხო სიტყვით გამოვიდა ამხ. გოგია, რომელიც ვრცლად შეეხო მასწავლებლობის როლს და რ. კ. პ. მეცამეტე ყრილობის დადგენილებებს ამ საკითხზე. შემდეგ ის შეეხო საბჭოთა აღმშენებლობას საბჭოთა რესპუბლიკებში და კერძოდ საქართველოში და მენშევიკების ავანტიურას. ბანდიტი მენშევიკები ცდილობენ ხელი შეუშალონ საბჭოთა აღმშენებლობას, მაგრამ ამას ისინი ვერ შესძლებენ, რადგან მთელი მშრომელი მასა და გლეხობა ჩვენსკენ არის. მასწავლებლობამაც დაამტკიცა თავისი ერთგულება უკანასკნელ გამოსვლების დროს.

27 სექტემბერს დღის პირველ საათზე სრულიად მოულოდნელად მოვიდნენ პარტკომთან რკინის გზის მუშები დროშებით და მუსიკით. მათ, დაგმეს რა მენშევიკების გამოსვლები, ფიცი დასდვეს კომუნისტური პარტიის წინაშე, რომ ისინი ყოველთვის მზად არიან იარაღით ხელში ეკვეთონ საბჭოთა ხელისუფლების მტრებს.

ფოთის რკინისგზელებმა საქმითაც დაამტკიცეს ეს უკანასკნელ დღეებში.

უნდა ენახათ ჩვენს მტრებს როგორი აღფრთოვანებით ლაპარაკობენ მუშები საბჭოთა აღმშენებლობის შესახებ.

მათ უპასუხეს პარტკომის წარმომადგენლებმა, რის შემდეგ მიღებული იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც რკინის გზელები კიცხავენ მენშევიკების ავანტიურას და სრულ ნდობას უცხადებენ საბჭოთა ხელისუფლებას.

28 სექტემბერს მიტინგზე პირველი ინტერნაციონალის სამოცი წლის თავის აღსანიშნავად ყოფილმა მენშევიკებმა ითხოვეს სიტყვა. ამხ. წულაია ვრცლად შეეხო საბჭოთა ხელისუფლების აღმშენებლობითი მუშაობას და მენშევიკების პოლიტიკას. მენშევიკებს სრულებითაც არ აინტერესებთ ქართველი ხალხის ბედიღბალი, ისინი იბრძვიან პორთფელებისთვის. ჩვენი მუშების ვალია საბჭოთა ხელისუფლებასთან და კომპარტიასთან ერთად შეებრძოლოს მათ ავანტიურისტულ ზრახვებს და დაეხმაროს საბჭოთა ხელისუფლებას. ქმარა მერყეობა, დროა პრაქტიკაში გავატაროთ ის, რაც ჩვენ ვსთქვით 25 აგვისტოს 1923 წ. საქართველოს ყოფილ მენშევიკების ყრილობაზედო, —ამბობს ორატორი.

ყოფილ მენშევიკების სახელით ამხ. ბასილიამ შემოიტანა რეზოლიუცია, რომელიც ერთხმად იქნა მიღებული ყოფილი მენშევიკების მიერ.

ასე შეხვდენ ფოთის მუშა-მოსამსახურეები მენშევიკების ავანტიურას, რაც მეტად მწარე გაკვეთილი არის ავანტიურისტებისათვის.

კ. ბ.

ს. კავთისხევის რაიონი (გორის მაზრა)

30 სექტემბერს სოფ. კავთისხევში შესდგა უპარტიო გლეხთა მრავალრიცხოვანი მიტინგი მენშევიკურ ავანტიურის შესახებ მოხსენება გააკეთა თბილისიდან ჩამოსულმა ამხ. ფარნიევმა, რომელმაც მდაბიო, გასაგები ენით გააცნო გლეხებს ავანტიურის ისტორია.

მოხსენების შემდეგ ამხ. ფარნიევს მისცეს შეკითხვები. მოხსენების გამო კრებამ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია:

ჩვენ, ს. კავთისხევის რაიონის მშრომელი გლეხები ზიზღსა და კრულვას ვუცხადებთ ყველა ჯურის შავრაზმელებს, რომლებმაც მოინდომეს ჩვენი მშვიდობიანი ცხოვრების დარღვევა, მშრომელთა მონაპოვარის სისხლი მორევში ჩახრჩობა და განადგურება. ჩვენ ყოველ ჟამსა დ წუთს მტკიცე დავიფიცავთ ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვარს და დიად პროლეტარულ ბელადის დატოვებულ ანდერძს ცხოვრებაში გავატარებთ.

გაუმარჯოს კომუნისტურ (ბოლშევიკურ) პარტიას მთელ მსოფლიოში!

გაუმარჯოს კომუნისტურ ინტერნაციონალს!

გაუმარჯოს მსოფლიო სოციალისტურ რევოლიუციას!

ძირს ყველა ჯურის შავრაზმელები და „სოციალ-გამყიდველები!“

მ. ჯ—ლი.

ახალი სააგარაკო ადგილი

ტყე-ქვალა

საქართველო ახალ აღმოჩენების ასპარეზს წარმოადგენს.

30 წ. თუ იქნება, რაც აღმოჩენილ იქნა ბახმარო—ეს მთელი ამიერ-კავკასიის მასშტაბით შესანიშნავი აგარაკი.

გომის მთაც ხომ ახლად აღმოჩენილია, როგორც აგარაკი.

რამოდენიმე წლის წინად ის მხოლოდ საბალახო მოედანს წარმოადგენდა.

მას თვით გურიაშიც კი არ იცნობს ყველა.

ამ მთით მახლობელი სოფლების გლეხ-კაცობა თუ სარგებლობს მხოლოდ. წელს ზაფხულში კიდევ ერთი შესანიშნავი საგარაკო ადგილი იქნა აღმოჩენილი.

აგარაკ გომის მთის ახლოს შემჩნეულ იქნა იშვიათი საგარაკო ადგილი „ტყე-კვალა“, რომელიც—როგორც ამბობენ—შესაფერადაა მოწყობილი, არაფრით არ ჩამოუვარდება თვით ბახმაროსაც კი.

„ტყე-კვალა“ მდებარეობს გომის მთიდან სამხრეთით, 3—4 ვერსის მანძილზე.

მდებარეობით ის ვაკე გაშლილი ადგილია, რომელიც მთლიანად მოცულია ფიჭვ-ნაძვნარით, ბახმაროს მსგავსად.

მოედანი, სადაც სახლები უნდა მოეწყოს, საკმაოდ ვრცელია, დაახლოებით 10—15 ქცევა იქნება. საამშენებლო მასალაც აქვეა.

„ტყე-კვალა“ მდიდარია ცივი, ანკარა წყაროებით, საცივებით, გვერდით ჩამოუდის მდინარე ბჟუჯი.

აქაური ჰაერი გომის მთასთან შედარებით მსუბუქი და თბილია.

ეს ადგილი დაათვალიერეს სპეციალისტებმა (პროფ. მოსეშვილი), რომელთაც იცნეს ის საუკეთესო საგარაკო პუნქტათ.

ამ საქმეზე ზრუნავენ ამხ. ფ. მახარაძე და საბჭ. აჭარის სახკომ. საბჭოს თავმჯდომარე ამხ. თ. ხიმშიაშვილი.

შესაძლებელია ამ აგარაკზე საუცხოვო საურმე გზის გაყვანა.

კარდონი.

არ გვინდა სარწმუნოებრივი დღესასწაულები

(სოფ. ჰაგანი, ქუთაისის მაზრა)

1924 წლის 17 სექტემბერს გაიმართა სოფ. ჰაგანის გლეხთა საზოგადო კრება. კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამხ. სევერიანე ხვიჩია, მდივნად ამხ. კ. არველიძე.

გასარჩევი იყო საკითხი: ვიდღესასწაულოთ თუ არა „ღვთისმშობლის მიძინება“. ხანგრძლივი კამათის შემდეგ, კრებამ ერთხმად დაადგინა—არ იდღესასწაულოს „ღვთისმშობლის მიძინება“.

შემდეგ ამხ. ს. ხვიჩიამ გააკეთა მოხსენება მენშევიკური ავანტიურის შესახებ.

მოხსენების გამო გლეხობამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიც სასტიკად გმობს მენშევიკების გამოსვლას, რომლის მიზანი იყო თავად-აზნაურების უფლებების აღდგენა და გლეხობის მონაპოვართა მოსპობა.

კარ.

ექლესიის მაგივრათ კლუბი

სოფ. ჩრდილი (ხარაგოულის რაიონი)

21 სექტემბერს შესდგა სოფ. ჩრდილის მცხოვრებთა საზოგადო კრება.

თავმჯდომარეთ იქნა არჩეული ამხ. ვასილ ფანქველაშვილი, მდივნათ მიხა შათირიშვილი. განსახილველი იყო შემდეგი საკითხები: 1) ეკლესიის შენობის კლუბ-სამკითხველოთ გადაკეთება, 2) საკლუბო კომისიის არჩევა, 3) მიმდინარე საკითხები.

პირველი საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ვ. შატბერაშვილმა. კრებამ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია;

ჩვენ, სოფ. ჩრდილის მცხოვრებმა, მუშა-გლეხებმა, მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. ვ. შატბერაშვილისა, ვადგენთ: სოფ. ჩრდილის ეკლესია დაიხუროს და მის შენობაში გაიხსნას კლუბ-სამკითხველო.

საკლუბო კომისიაში არჩეულ იქნა 6 ამხანაგი, რომლებსაც დაევალათ დაჩქარებით მოაწყონ კლუბ-სამკითხველო.

ახკორი ვ. ფ—ძე.

პროვინციის ქრონიკა

— **წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია.** აფხაზეთის პოლიტ-განათლების მმართველობა ოქტომბერ-ნოემბერში ხსნის წერა-კითხვის უცოდინარობის 433 პუნქტს და 30 სკოლას.

— **სამეურნეო ტეხნიკუმი გურიაში.** ოზურგეთის აღმასკომის მიერ გამოყოფილმა განსაკუთრებულმა კომისიამ დაადგინა გახსნას სამეურნეო სასწავლებელი ჩოხატაურის რაიონში გორაბერეჟოულის მამულში.

— **ოზურგეთის რკინის გზაზე.** ოზურგეთის აღმასკომმა შუამდგომლობით მიმართა ა/კ. რკ. გზათა სამმართველოს, რათა ოზურგეთის რკ. გზაზე ნაცვლათ ერთი მატარებლისა დანიშნული იქნეს დღეში ორი მატარებელი.

— **საქონლის ჭირი მარიენფელდში.** მარიენფელდში უკანასკნელ ხანს ფეხი მოიკიდა საქონლის ჭირმა, რომლის წინააღმდეგ საბრძოლველათ თბილისიდან გაიგზავნე ბეითალთა რაზმი.

— **ახალციხის მაზრაში.** ახალციხის მაზრის ყველა სკოლებთან განზრახულია კოოპერატიული სავაჭროების მოწყობა, რათა გავრცელებულ იქნეს კოოპერატივების სარგებლობის იდეია მოსწავლე ახალგაზრდობაში.

— **გლეხების შუამდგომლობა.** სოფ. ქაქუთის (გურიაში) მცხოვრებლებმა შუამდგომლობა აღძრეს სატყეო მასალის უფასოთ დათმობის შესახებ, ადგილობრივ სკოლის შენობის ასაშენებლათ.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 51

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

1924 წლის სექტემბრის 19.

საფეიქრო და შირის ნაკეთობის საზღვარ-გარეთ გატანის დროს გადახდევინებული ბაჟის დაბრუნების შესახებ გამოცემული დადგენილების შეცვლისათვის

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ასანთისა, საფეიქრო და შირის ნაკეთობის საზღვარ-გარეთ გატანის დროს საბაჟო გადასახადის დაბრუნების შესახებ 1924 წლის თებერვლის 1-ს თარიღითა და 5/121 №-ით გამოცემული დადგენილების (ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის კანონთა და განკარგულებათა კრებული 1924 წ. № 2, მუხ. 31) შესაცვლელად—ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ზემოაღნიშნული დადგენილების 5 მუხლთან დართული საფეიქრო და შირის ნაკეთობის საზღვარ-გარეთ გატანის დროს საბაჟო გადასახადის დაბრუნების ცხრილი 2 შეიცვალოს ამასთანავე დართული ახალი ცხრილით.

2. იმავე დადგენილების 6 მუხლის „ა“ და „გ“ პუნქტი შეიცვალოს შემდეგნაირად:

ა) ქვითარი, მიცემული ბამბისა, სელის ქსოვილისა და ჯუთის ნაკეთობის (ცხრილის 1—3 მუხლი) გატანისათვის—მიეცემა ანგარიშში საბაჟო გადასახადის გასტუმრების დროს საზღვარგარეთიდან შემოტანილი საქონლისათვის, რაც აღნიშნულია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1924 იანვრის 8-ს დამტკიცებული შემოტანილი საქონლის საევროპო ვაჭრობის საბაჟო ტარიფის 105 (პუნ. 2—4), 107 (პუნ. 1), 1 (პუნ. 1), 124 (პუნ. 2), 125, 127, 129, 1 134, 135, 167, და 179 მუხლში.

გ) ქვითარი, მიცემული შირის ნაკეთობის (ცხრილის მე-6 მუხლი) გატანისათვის, მი ღება ანგარიშში საბაჟო გადასახადის გა ტუმრების დროს საზღვარგარეთიდან შემო ტანილი საქონლისათვის, რაც აღნიშნულ ზემოხსენებული ტარიფის 88 (პ. პ. 1 და 2), 91, 94, (პ. 2). 117, (პ. 1), და 131, 13 (პ. 2), 167, 187, 188, 198, 199 და 205 (პ. 1 ლიტ. „ბ“) მუხლში.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბ ლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თა მჯდომარე მ. ორახელაშვილი.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბ ლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთ მმართველი ნ. ივანიშვილი.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბ ლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მდივნ თანამდებ. დრო. აღმასრულებელი ს. ლ კიშვილი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის საღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფ ლება წინადადებას აძლევს ამხ. ბაბალაშვილს გამოცხადდეს საღრიცხვო-განმანაწილებე განყოფილებაში.

თბ. კომიტეტის საღრიცხვო-განმანაწ. განყოფილება.

— სამშაბათს, 7 ოქტომბერს საღამოს 5 საათზე პლეხანოვის მუშათა კლუბში და ნიშნულია დიასახლისთა საერთო კრება. დღის წესრიგში: 1 დელეგატების არჩევნები, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია. ყველა მუშა-მოსამსახურეთა ოჯახის ქალებ უნდა გამოცხადდენ კრებაზე.

ლენინის რაიკომის ქალთა განყოფილების გამგე: ბიბინეიშვილი.

— საქ. ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირის თბილისის კომიტეტის საორგანი ზაციო განყოფილება წინადადებას აძლევს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდე თბილისის კომიტეტში ორშაბათს, 6 ოქტომბერს დილის 11 საათზე.

1) ისმაილოვი იმუში, 2) ლარიბნოვი გიორგი, 3) ნინუა ანტონ, 4. თოდრია პელაგი 5) ფიცხელაური, 6) გომელია კონსტანტინე.

საქ. ახალგ. ლენინელთა კომკავშირის თბილისის კომიტეტი.

— საქ. ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირის **თბილისის კომიტეტი** იუწ ყება, რომ ორშაბათს, 6 ოქტომბერს საღამოს 5 საათზე საბჭოთა მოსამსახურეების კლუ ბის შენობაში გაიმართება ახალგ. ლენინელთა კომკავშირის თბილისის ორგანიზაციი **აქტივისტების საერთო საქალაქო კრება.**

დღის წესრიგი: 1) ამხ. პენიაკოვის მოხსენება ახალგ. ლენინელთა კო კავშირის თბილისის ორგანიზაციის წევრთა პოლიტ-შემოწმების შესახებ“.

საკავშირო დისციპლინის ძალით სავალდებულოა იაჩეიკების ბიუროების წევრთ იაჩეიკების მდივანთა, თბილისის კომიტეტის, რაიკომების, საპროპაგ. კოლექტივები წევრთა და იაჩეიკების ინსტრუქტორების დასწრება.

საქ. ახალგ. ლენინ. კომკავშირის თბილისის კომიტეტის მდივანი—მტონიძ

უმაღლეს სასწავლებლების და მუშფაკების ყველა კომუნისტ-სტ დენტების საყურადღებოდ.

— თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილება წინადადებას აძლევ უმაღლეს სასწავლებლების და მუშფაკების ყველა კომუნისტ სტუდენტებს, რომლები ითვლებიან სხვა უჯრედებში, მოიხსნან აღრიცხვიდან და მიმაგრებულ იქნენ სათანად უმაღლეს სასწავლებლების უჯრედებზე.

ერთი რაიონიდან მეორეზე მიმაგრება უნდა ხდებოდეს თბილისის კომიტეტ საორგანიზაციო განყოფილების საშუალებით.

თბილისის კომიტეტის საორგან. განყოფილების გამგე: ხაცკევიჩი.

ცენტრალურ პარტიულ კლუბში.

— ცენტრალურ პარტიულ კლუბში ეწყობა პოლიტიკური ცოდნის, რაიონულ პარტიულ სკოლების, მარქსისტულ და ლენინიზმის შემსწავლელ წრეების, სამხედრო-პარტიულ წრეების და სხვ. ხელმძღვანელთათვის საზოგადოებრივ მეცნიერებათა კაბინეტ

კვირას, 5 ოქტომბერს, პატარა დარბაზში მოწვეულია თათბირი ამ საკითხის შ სახებ. მოწვეულნი არიან შემდეგი ამხანაგები: კოგანი, პოპოვი, (კავკასიის წითელ დრ შტაბის არმიის პოლიტიკური სამმართველო), ლორთქინიძე, სირკინი, კოგანი მ., რაბ ადამიანი, მთვარელიძე.

დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

— ცენტრალური პარტიული კლუბი წიგნთსაცავ-სამკითხველოსთან აწყობს კი კუთხეს, მისი მთავარი დანიშნულება კინოს დაახლოვება მუშათა მასებთან კინო-პ პაგანდის მოწყობის გზით. კინო-კუთხეში იქნება:

1. კინო-თეატრებში მიმავალ ყველა სურათების ბიბლიოგრაფიები, რეზენციებ შეფასება, ლიბრეტოები.
2. ყოველგვარი ლიტერატურა კინოს შესახებ (როგორც საბჭოთა კავშირის, უცხოეთის), როგორც ერთდროული, ისე პერიოდული.
3. საბჭოთა კავშირის და უცხოეთის სურათების ფოტოგრაფიული ალბო

იმის გამო, რომ ადგილობრივ წიგნების გამომცემლობებში არ მოიპოვება საკმაო ლები, პარტკლუბის გამგეობა სთხოვს ამხ. კომუნისტებს და უპარტიოებს, რომელ რაიმე ლიტერატურა აქვთ საბჭოთა და უცხოეთის კინოების შესახებ, დაუთმონ მ თანადო ჯილდოს მიღებით.

ასეთი მასალების მიღება მოხდება პარტკლუბის წიგნთსაცავში ყოველდღე საღამოს 10 საათამდე (კირკის ქუჩა, მუშკოოპის შენობა).

პარტკლუბის გამგეობა.

განცხადებები

5 ამა ოქტომბერს, დღით კვირას, ქ. ქუთაისში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი

ნინა ნიკოლოზის ასული

ჯაფარიძისა

რასაც ღრმა მწუხარებით აუწყებენ მეგობართ, ნათესავთ და ნაცნობთ ნიკოლოზ რომანოზის ძე ჯაფარიძე შვილებით, ეკატერინე და ნიკოლოზ ოთხმეზურები, ოლღა და რომანოზ ჯაფარიძეები ოჯახობით.

2207 2—2

ღრმად დამწუხრებულნი ელენე სიმონის ასული, მარიამ გრიგოლის ასული, მიხეილ გრიგოლის-ძე და ლიდა დიმიტრის ასული ზირაქაშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველის შვილის, მეორეს და მესამეს ძმის და მეოთხის მაზლის

სიმონ (სიმონიკა) გრიგოლის-ძე

ზირაქაშვილის

უდროოდ, ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, გარდაცვალებას ქალაქ აბასთუმანში 3 ოქტომბერს. 1614 2—1

ს. ს. ს. რ. სახალხო მეურნეობის

უმაღლეს საბჭოს

საქმეთა მმართველობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმის მიერ ს. მ. უ. ს. ქრა-კერვის მრეწველობის სახელმწიფო ტრესტის ყოფ. დირექტორის აბრამ ბორისის ძე **კუშნირის სახელზე** გაცემული

ნდობის ბარათი (გატარებული ქ. თბილისის სახალხო ნოტარიუსის სტრახოვის რეესტრში 1924 წ. ივნისის 11 № 2426-ით) მოქ. კუშნირის სამსახურიდან დათხოვნის გამო, 1924 წ. ოქტომბრის 1-დან

გაუქმებულია

1617 1—1 ს. მ. უ. ს. საქმეთა მმართველობა.

ს. ს. ს. რ. ს. მ. უ. ს.

სახღვინტრესტის სამმართველო

აცხადებს, რომ ორშაბათს ა. წ. 6 ოქტომბერს, დღის 12 საათზე სახღვინტრესტის შენობაში ლენინის ქ., № 30

დანიშნულია

წერილობითი შეჯიბრება

დაწვეულ სახლის შენობის დასამთავრებლად კამოს ქ. 68

ხარჯთ-აღრიცხვის და პირობების გაგება შეიძლება ტრესტის სამმართველოში (ლენინის ქ., 30) 12—3 საათამდე

2—2 ნ. 1605 ტრესტის სამმართველო

დადგენილება № 151

ს. ს. ს. რ. განათლების სახალხო კომისარიატისა

ა. წ. სექტემბრის 27-დან დამტკიცებულ იქნეს

თურქულ

შრომის სკოლებში სახმარებლად, როგორც სახელმძღვანელოები შემდეგი წიგნები:

1. სამშობლო ენაში:

1. ჯგ. თურქალიფბასე (აზერბეიჯანის გამოცემა)
2. „ იქინჯილ (სწავლების მეორე წელი)
3. „ უჩინჯილ („ მესამე „)
4. „ იგივე წიგნი (გაგრძელება)
5. „ მილლი გარაატ.
6. „
7. „ თიურქ ედაბიათი (თურქული მწერლობა)

2. არითმეტიკაში:

1, 2 და 3 ელმიჰესაპ, ნაწ. 1 და 2.

4, 5, 6 და 7 ჰესამესელალიარი, არ. ამოც. კრებული ნაწილი მე-3

3. გეომეტრია:

4, 5, 6 და 7 ჯგ.: ჰედესე, სახელმძღვანელო მასწავლებლებისათვის, ზეინალისა.

4. საზოგადოებათმეცნიერების:

5, 6, და 7 ჯგ. ესქი მედენიათ თარიხი (ძვ. კულტ. ისტორია).

5. ბუნება:

5, 6 და 7 ჯგ. ელმ-თაბიათ (ცხოველთა და მცენარეთა სამეფო, არაორგან. ბუნება.)

6. ფიზიკა: 6 და 7 ჯგ. იფთიადაი ფიზიკ (დასაწყ. ფიზიკა)

7. გეოგრაფია: 5, 6, 7—რაშიდ-ზადე, ნაწ. 1, 2 და მე-3.

განათლების სახალხო კომისარი დ. კანდელაკი

კომისარის მოადგილე სოც. აღზრდის მთავარმმართველობის გამგე მარ. ორახელაშვილი

1—1 სახელმწიფო გამომცემლობის გამგე პ. ზუმბაძე ნ. 1621

იბეჭდება: ცალკე წიგნად

გამოდის

გალაკტიონ ტაბიძის

პოემა

ZონR რიდი

1615 3—1

თბილისის დამზღვევი კასის შრომის პენსიონერთა საზოგადოება

აცხადებს, რომ სააუქციონო დარბაზში რუსთაველის პროსპ. № 8 პროფკავშირთა საბჭოს პირდაპირ, სწარმოებს

აუქციონი

სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით

ყველა იმ პირებს, რომელთაც სურთ თ ავიანთი ნივთების გასაღება საჩქაროდ, ხელსაყრელად და სინსიერად, შეუძლიათ დასტოვონ თავიანთი ნივთები კომისიაზე და აუქციონისთვისაც **დილის 10 საათიდან დღის 4 საათამდე.** მიიღება ყოველგვარი ნივთები, მსურველებს მიეცემათ სესხიც. დიდი ნივთების დათვალიერება და შეფასება ხდება ადგილობრივად. აუქციონი იწყება საღამოს 7 საათიდან

3—1 ნ. 1620 გამგეობა

ს. ს. რ. სავაჭრო სამრეწველო ბანკის

სრულიად საქართველოს კანტორა

(პრომბანკი)

აცხადებს, რომ ამა წლის 1-ლ ოქტომბრიდან

დაკლებულია პროცენტები

ყველა საქტივო ოპერაციებზე და დაწესებულია სახელმწიფო და კოოპერატიულ დაწესებულებისათვის ვადების მიხედვით.

თამასუქების განაღდებით 10 პროც.-დან 13 პროც.-მდე წლიური. სესხებით— საქონლით და საქონლის საბუთების ქვეშ 12 პროც. 14 პროცენტამდე წლიური. სპეციალი (ონკოლი) 14 პროც. წლიური.

1—1 ნ. 1618

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დ-არსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სთ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.

№ 2095—25—13

ექიმი

ს. ა. გალუსტიანცი

შინაგანი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი; ქრონიკული და მწვავე ტრიპერი, სიფილისი

ავადმყოფების მიღება დილის 25 —4 საათ. და 4—7 საათ. ქალების მიღება 2—4 საათ. ელისაბედის ქ., 77, მეორე სახლი კირკის ქუჩის კუთხიდან.

25—6 ქ. № 2203.

გამოცდილი მასწავლებელი ამზადებს

ყველა სასწავლებელში შესასვლელად. ყველა კლასებისათვის. აგრეთვე ვიძლევი **მათემატიკის და რუსული ენის გაკვეთილებს და ვასწორებ ჩამორჩენილ მოწაფეებს.** პლეხანოვის ქ. № 25 (შესავალი ალექსის ქ. 5) ნახვა 4—7 საათ.

10—5 ნ. 1593

ექიმი

მედიცინის დოქტორი

ა. ა. მონსე

ექიმობს მოზრდილთა და ბავშვთა შინაგანი ორგანოების და ნერვიული სისტემის ავადმყოფობას

ელექტრო-სინათლის სამკურნალო კაბინეტი

მიღება: დილით 10 ს.—12 საათამდე და საღამოს 5 ს.—7 საათამდე პლეხანოვის პროსპ. № 111. ბინა 2

5—16

ექიმი

ე. მ. მქინარიშვილი

რუსთველის პროსპექტი № 18 (შესავალი კრუზენ შტერნის ქუჩიდან,

სიფილისი, ვენერიული

და კანის სნეულებანი

მიღება: პირველის ნახევრიდან—ორის ნახევრამდე და 6—8 საათ., ქალებისა და ბავშვებისათვის 5-დან 6 ს.

ქ. № 2046 25—16

ექიმი

ბ. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კ ავადმყოფობა.

მიღება: დილის 9—11 საათ. ღამოს 5—8. პლეხანოვის პრ პექტი № 116, სასტუმრო „ნო პირდაპირ. № 2100 25—13.

ექიმი

გ. გ. მეგრაბიანი

შინაგანი, გულისა და ფილ დაავადმყოფებულნი. სპეც. ცი წამლობა—შეზპ. 914, ყოველ ო განოების განათება, ფოტოგრაფ ული გადაღება და წამლობა

რენტგენის სხივებით

დილ. 9—1 დღ. და 6—8 ს. სა ბებუთოვის ქუჩა № 23.

1562 13—3

ექიმი

ი. ი. ჭეიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კა ავადმყოფობანი, მიღება: დილ 7—8 საათ. საღამოს 6—7 საათ. სამართი: კამოს ქუჩა, (ყოფ. დ მთავრის) № 72.

2005 25—17

დაკარგე სავათმყოფოს წიგნა მოცემული მუშფაკის ერ თამარა ილიას ასული ჭანიშვილის ხელზე № 24434. ჩაითვალოს გაუქმებულა

2279 1—1.

დაკარგე მეტრიკული ამონაწე № 1716 ჩაითვალოს გა ქმებულად. დავით სხირტლაძე

2282 1—1.

დაკარგე პირადობის მოწმ მოცემული სახელმწ ფო ოპერის თეატრიდან კბილის ექიმ ნატალია ბაგდოევა—კანდელაკის სახელზ ჩაითვალოს გაუქმებულად.

2283 1—1.

დაკარგე სამხედრო აღრიცხვის ბ რათი მოცემული ბათ მის პირველ უბ. სამხედრო უწყებისაგან პირადობის მოწმობა ჩოხატაურის რაიონ აღმასკომის მიერ გაცემული შოთა ეგნა ჯინჭარაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებ ლად.

2280 1—1.

დაკარგე პროფ.-კავშირის საწევრ წიგნაკი მიღებული გა ნათლების მუშ'აკთ. კავშირიდან. მარია ბერ ძენიშვილის ს ჩაითვალოს გაუქმებ ლად

2281 1—1.

ტირაჟი 18.400

სტამბა „ზარია ვოსტოკა“, საშა წულუკიძის ქუჩა № 4.